მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის
გამოცემა

ჰუმანიტარული განათლება სკოლაში

№1(3), 2023

მეორე ნაწილი

ენები, ხელოვნება, მუსიკა, ისტორია

ISSN 2720-8583

განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

ჰუმანიტარული განათლება სკოლაში

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

№1(3), 2023

მეორე ნაწილი

უცხო ენები, ხელოვნება, მუსიკა, ისტორია

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ბრეგაძე
სამეცნიერო რედაქტორი

გრიგოლ (გია) მურღულია

თამაზ ვასაძე

ნინო ნაკუდაშვილი

ზაალ ჩხეიძე

გია ბაღაშვილი

ლევან ახვლედიანი

რუსუდან თაყაიშვილი

თათია ბარბაქაძე

ნონა პოპიაშვილი

მაკა ნადარეიშვილი

ნინო ფეტვიაშვილი

ხათუნა მჭედლიშვილი

მთავარი რედაქტორი
მაია ინასარიძე

კორექტორი
ნინო უჩანეიშვილი

დიზაინერი
ბესიკ დანელია

მისამართი:

თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 2720-8583

WWW.TPDC.GE

რედაქტორისგან

ესეცჟურნალის—„ჰუმანიტარული განათლება სკოლაში“ მესამე ნომერი, რომელშიც წარმოდგენილი რუბრიკები ჰუმანიტარული ციკლის საგნების მიხედვითაა შერჩეული და უცხოურ ენების, ისტორიის, ხელოვნებისა და მუსიკის საკითხებზე დაწერილ სტატიებს შემოგთავაზებთ. ჰუმანიტარული განათლების მნიშვნელობას ჟურნალის წინა ორ ნომერში არაერთი სტატია მიეძღვნა. ტრადიციას არც ამჯერად ვღალატობთ და სხვადასხვა საგნის პერსპექტივიდან ვცდილობთ დაგანახვოთ თანამედროვე გამოწვევები და ამ გამოწვევებზე პასუხები.

რას გულისხმობს საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლება (CLIL) და რატომ უნდა მოხდეს მისი დანერგვა უცხოური ენების სწავლებისას? მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრაციის რა გზები და საშუალებები არსებობს მოწინავე პედაგოგიურ პრაქტიკაში? როგორ განვუვითაროთ მოსწავლეებს კომუნიკაციური, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარები უცხო ენის გაკვეთილებზე? რა საერთაშორისო გამოცდილება არსებობს მსოფლიოში მასწავლებელთა კომპეტენციების განვითარების კუთხით და როგორ არის განსაზღვრული მათი ვალდებულებები, კერძოდ, საფრანგეთში? რა პროექტებს ახორციელებენ იაპონიაში მოსწავლეთა მუსიკალური განათლებისათვის? ვინ ინახავს ჩვენს ეროვნულ საუნჯეს, რომელსაც ქართული ფოლკლორი ჰქვია? — ეს იმ შეკითხვათა ჩამონათვალია, რომლებზე პასუხების მცდელობაა ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები. ვფიქრობთ, მკითხველისათვის ასევე საინტერესო იქნება ხელოვნებისა და არქეოლოგიის სწავლების ისტორიის საკითხები, რადგან წარსული გამოცდილების ანალიზის გარეშე სიახლეები წარმატებით ვერ დაინერგება.

წარმატება ვუსურვოთ ჟურნალის ამ ნომერს!..

შინაარსი

ენების სწავლება საქართველოში

ნონა პოპიაშვილი
02 საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლება (CLIL) უცხოური ენების სწავლების კონტექსტში

ხათუნა მჭედლიშვილი
12 კონცენტრაციის გასაუმჯობესებელი აქტივობები უცხო ენის (და არა მარტო უცხო ენის) სწავლებაში

ნინო ფეტვიაშვილი
21 „ქეისებით“ სწავლება უცხოური (რუსული) ენის გაკვეთილზე

მაკა ნადარეიშვილი
28 როგორ გავხდე მასწავლებელი (საფრანგეთის გამოცდილება)

მუსიკა და ხელოვნება

თათია ბარბაქაძე
35 სახელოვნებო განათლების საკითხი საქართველოში

გია ბაღაშვილი
45 ნაფიქრალი ლელა თათარაიძეზე

რუსუდან თაყაიშვილი
49 YAMAHA-ს სასკოლო პროექტი

ისტორია

დიმიტრი ახვლედიანი, ლევან ახვლედიანი
58 თანამედროვე ქართული არქეოლოგიის თავისებურებები

ნონა პოპიაშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სტანდარტებისა და რესურსების პროგრამის ხელმძღვანელი

საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლება (CLIL) უცხოური ენების სწავლების კონტექსტში

> **გლობალური მოქალაქეობის განათლების ფართოდ დანერგვა დაგვეხმარება იმაში, რომ ყველა მოსწავლეს განუვითარდეს შესაბამისი კომპეტენციები, რათა მათ უკეთ გააცნობიერონ საკუთარი უფლებები და მოვალეობები უკეთესი სამყაროსა და მომავლის შექმნისათვის.**

უცხოური ენების, განსაკუთრებით კი ინგლისური ენის, სწავლება თანამედროვე მსოფლიოსთვის პრიორიტეტს წარმოადგენს. დღესდღეობით ახალგაზრდებისთვის უცხოური ენის ცოდნა ერთ-ერთ უმთავრეს უნარად არის მიჩნეული და, შესაბამისად, ენის სპეციალისტები, ამ დარგის ექსპერტები მუდმივად ეძიებენ გზებს უცხოური ენის სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე სკოლამდელ თუ უმაღლესი განათლების დაწესებულებებში.

ინგლისური ენის საფუძვლიანი ცოდნა სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებს მრავალფეროვანი შესაძლებლობებისკენ უხსნის გზას და ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკური და საერთაშორისო პერსპექტივის გაძლიერებას.

2019 წლის მონაცემებით მსოფლიოში 1.5 მილიარდი ინგლისური ენის შემსწავლელი იყო და ეს რაოდენობა მუდმივად მზარდია (Beare). აღსანიშნავია, რომ ინგლისური ენის შემსწავლელები და, შესაბამისად, სწავლების მეთოდოლოგიაც ორ მიმართულებად იყოფა, ინგლისური, როგორც უცხოური ენა, და ინგლისური, როგორც მეორე ენა. პირველ შემთხვევაში ენის მოხმარება შემოიფარგლება სწავლის, სამუშაოსა თუ გართობის სფეროებით, ხოლო მეორე შემთხვევაში ინგლისური ენის მოხმარება ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს. ინგლისური ენის სწავლების ხარისხის ასამაღლებლად მუდმივად ვითარდება და ინერგება ახალი მოდელები და მიდგომები. ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინგლისური ენის სწავლების იმგვარი მიდგომების დანერგვას, რომლებიც არა მხოლოდ მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციების განვითარებას შეუწყობს ხელს, არამედ დაეხმარება მათ მეოთხე ინდრუსტრული რევოლუციის შედეგად წარმოქმნილ გამოწვევებთან გამკლავებასა (Basterrechea &Leeser, 2018) და სხვადასხვა საგნის ჭრილში მიღებული ცოდნის გამთლიანებაში (Yufrizal, 2021).

საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლება სწორედ ამგვარი ტრანსფორმაციული და მძლავრი მიდგომაა ენობრივ განათლებაში, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა საგანმანათლებლო პედაგოგიკაზე ბოლო წლების

განმავლობაში (M Brevik, Moe, 2012) აღნიშნული მეთოდოლოგია ღირებულია როგორც უცხოური ენის სწავლა-სწავლებისას, ასევე, წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს ბილინგვური და პლურილინგვური განათლების კონტექსტში და მხარდაჭერილია ევროსაბჭოს ენობრივი განათლების პოლიტიკის ფარგლებში (Europe, n.d.).

რას გულისხმობს საგნის (შინაარსისა) და ენის ინტეგრირებული სწავლება (CLIL) და რატომ უნდა მოხდეს მისი დანერგვა უცხოური ენების სწავლებისას?

ერთ-ერთი განმარტების თანახმად (Koç, Yüksel, and Altun (2021) კოჩი, იუსკელი და ალტუნი (2021)), CLIL-ი წარმოადგენს მეთოდოლოგიას, რომლის მიხედვითაც ენის სწავლება ხდება მასში ინტეგრირებული კონკრეტული შინაარსის გამოყენებით. შინაარსად კი შესაძლებელია განისაზღვროს ნებისმიერი სასწავლო დისციპლინა, მაგალითად, საბუნებისმეტყველო საგნები, ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა და სხვა. სწავლების ამ მეთოდმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო ჩამოყალიბება, თუმცა განსაკუთრებით პოპულარული ის 21-ე საუკუნეში გახდა. ბოლო წლების განმავლობაში CLIL ენის სწავლების ინოვაციურ მეთოდოლოგიად მიიჩნევა, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება არა მხოლოდ სამიზნე ენის შესწავლაში, არამედ, კონკრეტული ცოდნის უკეთ აკუმულირებაში. CLIL მეთოდოლოგიის საფუძველს წარმოადგენს ე.წ. „4C“ ჩარჩო, რომელიც მოიაზრებს შინაარსის, კოგნიტური და საკომუნიკაციო უნარებისა

> ენობრივი განათლების ერთ-ერთი მიზანი არა მხოლოდ კომუნიკაციური უნარების განვითარება, არამედ კულტურაზე მეტი ხედვისაწვდომობაცაა. ამიტომაც ლინგვისტური კომპეტენციების განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვანი აქცენტი უნდა გაკეთდეს ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებაზე.

და კულტურული კომპეტენციების ერთდროულად განვითარებას (4C: Content, cognition, communication and culture). აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით, მოსწავლეები ენის გაკვეთილზე სწავლობენ კონკრეტულ შინაარსს, ასევე, მათ უვითარდებათ კოგნიტური უნარები, რამდენადაც ახდენენ შესასწავლი შინაარსის ინტერპრეტაციას ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე; ამის შემდეგ შესწავლილი ენობრივი საშუალებების გამოყენებით კომუნიკაცია მიმდინარეობს სხვადასხვა კონტექსტში, და ბოლოს, ხდება შესწავლილი შინაარსის კულტურული გაცნობიერება, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნებისმიერი ენის სიღრმისეულად შესწავლისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

ბოლო რამდენიმე წელია მეცნიერები იკვლევენ CLIL მეთოდოლოგიის ეფექტიანობას ინგლისურის, როგორც უცხოური ენის, სწავლების მიზნით (Diab, Abdel-Haq, and Aly (2018)). კვლევები ადასტურებს, რომ ენისა და კულტურის სწავლა-სწავლება ერთმანეთისგან განუყოფელად ხდება, შეუძლებელია ვისწავლოთ ენა შესაბამისი კულტურისგან მოწყვეტილად, სწორედ კულტურული ცნობიერება გვეხმარება უკეთ გავიაზროთ საკომუნიკაციო უნარები (Sakellariou and Papadopoulos (2020)). ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში დანერგილია CLIL-ის



განსხვავებული მოდელები. აღნიშნული მეთოდოლოგია გამოიყენება სწავლების დაწყებითი საფეხურიდან საუნივერსიტეტოს ჩათვლით და მისი მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ უცხო ან მეორე ენის სწავლებისთვის არ არის დამატებითი დროის გამოყოფის საჭიროება. ასევე, CLIL მეთოდოლოგიით სწავლებისას, მოსწავლეებს პლურილინგვალიზმის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება უყალიბდებათ, ეს კი თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მეტად მნიშვნელოვანია.

ასევე, კვლევები ადასტურებს (Harrop (2012)), რომ ის მოსწავლეები, რომლებსაც CLIL-ის მეთოდოლოგიით აქვთ ენა შესწავლილი, ენის მეტად სიღრმისეულ ცოდნას ავლენენ და უკეთესი კომუნიკაციის უნარები უვითარდებათ, ვიდრე მათ, რომელთაც სხვა მიდგომების საშუალებით ისწავლეს უცხოური ენა. აღსანიშნავია, რომ კვლევები ასევე ადასტურებს ამ მოსწავლეების მაღალ მოტივაციას და ინტერკულტურულ ცნობიერებას.

მიუხედავად იმისა, რომ CLIL მეთოდოლოგია მთელი რიგი უპირატესობებით ხასიათდება, მისი დანერგვა გარკვეულ გამოწვევებსაც უკავშირდება. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის მაღალკვალიფიციური მასწავლებლებია, რომლებიც შეძლებენ რომელიმე სასწავლო დისციპლინის ჭრილში ენის სწავლებას.

მასწავლებლებს სპეციფიკური პროფესიული განვითარება და ტრენინგი სჭირდებათ CLIL გაკვეთილების ეფექტურად შემუშავებისა და განხორციელების უნარის განვითარებისთვის. ასევე აუცილებელია ენისა და საგნის მასწავლებლებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა როგორც კურიკულუმის შედგენის, ასევე გაკვეთილების დაგეგმვის პროცესში, რაც მასწავლებლებისგან დამატებით დროსა და კოორდინაციას მოითხოვს. გარდა ამისა, შესაძლებელია, მოსწავლეების შეფასებასთან დაკავშირებითაც გაჩნდეს დამატებითი სირთულეები, რამდენადაც მასწავლებლებმა უნდა შეაფასონ როგორც ენის, ასევე საგნის შინაარსის ცოდნა. ამ გამოწვევებთან გამკლავება კი მოითხოვს დამატებით მუშაობას მასწავლებლებთან, მათთვის შეფასების ეფექტური სტრატეგიების შეთავაზებას, რომლებიც მორგებულია CLIL საკლასო გარემოზე.

ასევე, გამოწვევად რჩება ამ მიმართულებით რესურსების ნაკლებობა და შესაბამისი კურიკულუმის შექმნასთან დაკავშირებული სირთულეები. CLIL მეთოდოლოგიის პოპულარულობის ზრდასთან ერთად გაიზარდა ინტერესი აღნიშნული მეთოდოლოგიის დანერგვის მიმართ შესაბამის კურიკულუმებში. მიმდინარეობს არსებული მოდელების კვლევა და მათი გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შეთავაზება. მნიშვნელოვანია, რომ CLIL კურიკულუმი ეფუძნებოდეს ტრანსდისციპლინური სწავლების პრინციპებს, სადაც ენისა და საგნობრივი შინაარსის საკითხები ინტეგრირებულია; ასევე, კურიკულუმების განვითარების პროცესში მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებული მხარის ჩაბმა და სწავლების სხვადასხვა საფეხურის ერთმანეთთან დაკავშირება.

CLIL მეთოდოლოგიის ეფექტურად გამოყენების მიზნით, ენის მასწავლებლებმა საგულდაგულოდ უნდა შეარჩიონ და მოერგონ საგნების შინაარსს და მოიყვანონ ის ენის შესწავლის მიზნებთან შესაბამისობაში. ეს გულისხმობს თანამშრობლობას დაგეგმვაში და მუდმივ კოორდინაციას ენისა და საგნის მასწავლებლებს შორის. საჭიროა შემუშავდეს სასწავლო გეგმა, რომელიც გააერთიანებს ენასა და შინაარსს და რომელშიც გათვალისწინებული იქნება ავთენტური სასწავლო რესურსები, როგორებიცაა სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო სტატიები და ნაშრომები, ვიდეო და აუდიო რესურსები, რუკები, დიაგრამები და სხვა. ამგვარად, მოსწავლეები შეძლებენ რეალურ სამყაროში გამოიყენონ ენა და საგნობრივი ტერმინოლოგია. უფრო მეტიც, CLIL გაკვეთილები შესანიშნავი საშუალებაა ექსპერიმენტული სწავლების სასკოლო სივრცეში დასანერგად. მოსწავლეებს შეუძლიათ ენის ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკული საქმიანობისას, პროექტებზე ან პრეზენტაციებზე მუშაობისა და წარდგენის პროცესში. ასევე, მნიშვნელოვანია CLIL მეთოდოლოგიით სწავლებისას

> **უცხოური ენის მასწავლებლებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მლობადური მოქალაქეების ალზრდასა და განვითარებაში, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ეფექტურად ითანამშრომლონ დემოკრატიული, კულტურათშორისი დიალოგის წარმართვაში. ისინი მოსწავლეებს უვითარებენ არა მხოლოდ დინგვისტურ და ინტერკულტურულ კომპეტენციებს, რათა მათ შეძლონ სხვა კულტურის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია, არამედ ასევე ზრუნავენ მოსწავლეებში დემოკრატიული დიალოგისათვის საჭირო ღირებულებებისა და უნარების განვითარებაზე.**

დიდი ადგილი დაეთმოს ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში, ონლაინ რესურსებზე, ინტერაქტიულ ინსტრუმენტებზე და მულტიმედიურ მასალებზე წვდომის გზით, რაც კიდევ უფრო მეტად აღრმავებს მოსწავლეთა ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას.

როგორც უკვე აღინიშნა, CLIL მეთოდოლოგია მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში როგორ სამიზნე უცხოური ენის სწავლების ხარისხს, ასევე, დადებითად აისახება სხვადასხვა საგნობრივი დისციპლინის სწავლების ხარისხზეც. განვიხილოთ ის უპირატესობები, რომლებიც აღნიშნული მეთოდოლოგიის დანერგვას მოჰყვება უცხოური ენების სწავლების თვალსაზრისით:

1. **ენის ავთენტური გამოყენება:** მოსწავლეებს საშუალება აქვთ ენა გამოიყენონ ავთენტურ, საგნობრივ დისციპლინასთან დაკავშირებულ კონტექსტში, რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებზე მორგებით გაიღრმავონ ენის ცოდნა.
2. **მოტივაცია და ჩართულობა:** საგნობრივი შინაარსის ათვისება სამიზნე ენაზე ენის სწავლის პროცესს მეტად საინტერესოს ხდის მოსწავლეებისთვის. ისინი მყისიერად ხედავენ ენის პრაქტიკულ გამოყენებას საკუთარ ინტერესებთან თუ აკადემიურ მიზნებთან კავშირში.
3. **ენობრივი უნარებისა და კომპეტენციების ინტეგრირებული განვითარება:** CLIL მეთოდოლოგიით სწავლებისას ენის ოთხივე მიმართულება (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა და წერა) თანაბრად ვითარდება. მოსწავლეები ენას იყენებენ განსხვავებულ საკომუნიკაციო სიტუაციებში, იმყარებენ ენის ცოდნას საგნობრივი შინაარსის ათვისების პარალელურად.
4. **კოგნიტური სარგებელი:** CLIL ეხმარება კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ და გააანალიზონ კომპლექსური საგნობრივი დილემები, რაც მათ კოგნიტურ და სამიზნე ენაზე კრიტიკულად აზროვნების უნარის განვითარებას განაპიროებებს.
5. **კულტურული გაცნობიერება:** CLIL-ი მოსწავლეებს აზიარებს მრავალფეროვან კულტურულ კონტექსტსა და პერსპექტივას, რამდენადაც მათ სჭირდებათ საგნობრივი საკითხების სხვადასხვა კულტურული კონტექსტის ჭრილში შესწავლა. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებას და მრავალფეროვნების მიღებასა და დაფასებას.

იმისათვის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში წარმატებით დავნერგოთ CLIL მეთოდოლოგია, მასწავლებლებმა CLIL კურიკულუმის შედგენისას უნდა გაითვალისწინონ შემდეგი ფაქტორები:

- გულდასმით შეარჩიონ შესაბამისი საგნობრივი შინაარსი, რაც ერთდროულად პასუხობს საგნობრივი და ენის სწავლების მიზნებს. სასურველია, ავიღოთ ისეთი თემები, რომლებიც საინტერესო, რელევანტური და დაძლევადია მოსწავლეებისთვის. კურიკულუმში წარმოდგენილი უნდა იყოს საგნის შინაარსთან და ენასთან დაკავშირებული მიზნები თითოეული თემის ფარგლებში. ენის მიზნები უნდა მიემართებოდეს კონკრეტულ მიმართულებებს (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა) და ენობრივ საშუალებებს (ლექსიკა, გრამატიკა, დისკურსი), ხოლო საგნობრივი მიზნები კი შინაარსთან დაკავშირებულ სამიზნე ცნებებს.
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ენისა და შინაარსის ინტეგრირებას. კურიკულუმში მკაფიოდ უნდა იყოს წარმოდგენილი, როგორ შეძლებენ მოსწავლეები ენის პრაქტიკულ გამოყენებას მოცემულ შინაარსობრივ საკითხებთან ბმაში. აქტივობები იმგვარად უნდა დაიგეგმოს, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სამიზნე ენის შესწავლა, ანალიზი, გამოყენება, და შინაარსთან დაკავშირებული საბოლოო პროდუქტის შექმნა. თემატური და გაკვეთილის

> **გლობალური მოქალაქეობის განათლების დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანია შესაბამისი თემატიკის ინტეგრირებული და ტრანსფორმაციული მიდგომის კონცეპტუალიზაცია. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ ის პედაგოგიკური თუ მეთოდიკური მიდგომები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ენის სწავლებისას.**

გეგმები უნდა აერთიანებდეს საგნობრივ საკითხებს და ენის განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს ენის გამოყენებას საგნობრივი შინაარსის ასათვისებლად.

- ენის სწავლებისას გამოიყენონ ხარაჩოს მეთოდი. ენობრივი მასალა მოსწავლეებს უნდა მიეწოდოთ წინსწრებით, წინადადების ჩარჩოს, ენობრივი კონსტრუქციების, ვიზუალური დამხმარე რესურსების, გრაფიკული ორგანიზატორების შეთავაზებით. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიების ჩართვა.
- მეტი ყურადღება მიაქციონ თანამშრომლობითი სწავლის გაძლიერებას. სასურველია CLIL გაკვეთილზე გამოვიყენოთ დისკუსიები, დებატები, პრეზენტაციები, ჯგუფური მუშაობა, მეტი ყურადღება დაეთმოს სამიზნე ენაზე ინტერაქციასა და კომუნიკაციური გარემოს შექმნას, სადაც მოსწავლეები იმუშავებენ საგნობრივ შინაარსთან დაკავშირებულ კომპლექსურ დავალებებზე, რომლებიც გადის როგორც საგნობრივ, ასევე ენის სამიზნე ცნებებზე. დავალების შესრულებისას, მოსწავლემ უნდა შეძლოს ენის გამოყენება საგანთან დაკავშირებული ინფორმაციის ინტერპრეტაციის, ანალიზისა თუ საბოლოო პროდუქტის შექმნისათვის



- ენისა და შინაარსის შეფასებისთვის გამოიყენონ იმგვარი სტრატეგიები, რომლებიც ერთნაირი წარმატებით გახდის შესაძლებელს მოსწავლეთა პროგრესის შეფასებას როგორც შინაარსობრივ საკითხებში, ასევე ენის მიმართულებით. სასურველია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს განმავითარებელ შეფასებებს (დაკვირვება, ჩექლისტები, ქვიზები), ასევე შესაძლებელია პროექტებისა და პრეზენტაციების გამოყენება შემაჯამებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნით, რაც დაგვანახვებს მოსწავლის პროგრესს. უკუკავშირის მიცემის დროს აუცილებელია გათვალისწინებული იყოს როგორც შინაარსობრივი, ასევე ენობრივი ასპექტები.

ზემოაღნიშნული ფაქტორები ზოგადი ხასიათისაა და გვთავაზობს მხოლოდ იმ ზოგად პრინციპებს, რომელთა გათვალისწინებაც გვჭირდება CLIL კურიკულუმზე მუშაობისას. კურიკულუმის კონკრეტული დეტალები და ელემენტები კი დამოკიდებულია კლასზე, საგანზე, ენის დონეზე, ხელმისაწვდომ რესურსებზე, მასწავლებლების მზაობასა და ბევრ სხვა ფაქტორზე.

იმისათვის, რომ CLIL გაკვეთილი წარმატებული იყოს, მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

- ყოველთვის შეხედეთ საკითხს მოსწავლის პერსპექტივიდან. დაგეგმვისას ყოველთვის გაითვალისწინეთ მოსწავლეების ინტერესები.
- გამოიყენეთ ყველა შესაძლებლობა, რომ მოახდინოთ საგნისა და ენის ინტეგრირება.
- საბოლოო პროდუქტში ყველაზე უკეთ ხდება ენისა და შინაარსის ინტეგრირება პრეზენტაციის, ვიდეოს, პოსტერის, ინტერვიუს, გონებრივი რუკის, დიალოგის, ქვიზისა თუ ექსპერიმენტის სახით.
- სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენეთ სამიზნე ენაზე შექმნილი ტექსტები და სასწავლო რესურსები.
- დიდი ყურადღება დაუთმეთ საგნობრივი ტერმინების/ საგნის შინაარსთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების სწავლებას. ჩვეულებრივ, ეს არის ის საკვანძო სიტყვები, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება ტექსტების გაგებაში.
- გააცანით მოსწავლეებს სტრტაეგიები, რომელთა საშუალებითაც ისინი შეძლებენ ტექსტების დეკოდირებას, გამოიყენეთ, მაგალითად, პერეფრაზირება, ლექსიკური დერივაციები, სიტყვათწარმოება და სხვა.
- არასდროს შეაფასოთ მხოლოდ საგნობრივი ცოდნა, აუცილებლად დაუთმეთ შეფასებისას სათანადო ყურადღება ენის ცოდნას.
- მაქსიმალურად დატვირთეთ გაკვეთილები საგნობრივი შინაარსთან დაკავშირებული კომუნიკაციური აქტივობებით. მაგალითად, მოსწავლეებმა წყვილში განიხილონ, გაკვეთილის რომელი ასპექტი მიაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად, მოიყვანონ არგუმენტები მოსაზრების გასამყარებლად. ამგვარ აქტივობებს არ დასჭირდება დიდი დრო, თუმცა მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს მოსწავლეებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლებს, რომელთაც განზრახული აქვთ CLIL მეთოდოლოგიით ასწავლონ, უნდა ჰქონდეთ შესაბამისი უნარები და კომპეტენციები, რაც განსაკუთრებულ წვრთნას მოითხოვს. შესაძლებელია გამოვყოთ რამდენიმე კომპეტენცია, რომლებიც უმნიშვნელოვანესია იმ მასწავლებლებისთვის, რომელნიც ამ მისიას დაისახავენ მიზნად. უპირველესად, ისინი უნდა იცნობდნენ ბილინგვური და პლურილინგვური განათლების ფსიქოლოგიურ ასპექტებს; ასევე, მათ უნდა იცოდნენ ის საგანი ან თემა,

რომელთან ინტეგრირებითაც ასწავლიან სამიზნე ენას; მათ კარგად უნდა ესმოდეთ საგნისა და შინაარსის ინტეგრირებულად სწავლების მეთოდოლოგია და, რაც მთავარია, ჰქონდეთ მზაობა ასწავლონ ამ მიდგომის გამოყენებით.

CLIL-ის შემოტანით ჩვენ ვეხმარებით მოსწავლეებს საგანთშორისი კავშირების დამყარებაში და, რაც მთავარია, ვუქმნით პოზიტიურ განწყობას ენების მიმართ. CLIL-ის სასწავლო გეგმაში ინტეგრირებისას ინგლისური ენის მასწავლებელმა აუცილებლად უნდა შემოიტანოს გამჭოლი თემები. ამ დროს ჩვენ ვცდებით ენის მასწავლებლის საზღვრებს და ვიწყებთ ფიქრს როგორც რომელიმე სასწავლო დისციპლინის/საგნის მასწავლებელი. ერთადერთი განსხვავება ამ დროს ჩვენსა და საგნის მასწავლებელს შორის ის არის, რომ ჩვენ უცხოურ ენაზე ვასწავლით საგნობრივ შინაარსს. მაგალითად, შესაძლებელია ვასწავლოთ ლიტერატურაასთან, მათემატიკასთან, ხელოვნებასთან, სპორტთან ან ნებისმიერ საგანთან დაკავშირებული საკითხები. ამისთვის, ცხადია, ენის მასწავლებელს დამატებითი მუშაობა მოუწევს, ინტენსიური კონსულტაციები კოლეგა საგნის მასწავლებელთან და მასთან თანამშრომლობა როგორც დაგეგმვის, ასევე სწავლების პროცესში. იმისთვის, რომ ეს პროცესი დამთრგუნველი არ აღმოჩნდეს მასწავლებლისთვის, შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული თემები დავგეგმოთ აღნიშნული მეთოდით. შესაძლებელია ეს თემები სრულიად

განსხვავებული საგნებიდან იყოს აღებული. ამ შემთხვევაში, მოსწავლეებს კონკრეტული თემების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის საშუალება ექნებათ სამიზნე ენაზე შესაბამისი ტერმინოლოგიისა და ლექსიკური ერთეულების დასწავლის გზით. CLIL თემებად შესაძლებელია ავიღოთ გლობალური მოქალაქეობის, მდგრადი განვითარების მიზნებისა თუ STEAM თემატიკა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თემების დაფარვის დროს თემატურ სასწავლო გეგმაში უნდა დაიფაროს როგორც ამა თუ იმ საგანთან დაკავშირებული, ასევე ენის სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებები და შედეგები. ასევე, აღნიშნული მეთოდოლოგია სრულად შეესაბამება მე-3 თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას, რამდენადაც მოსწავლეები კონკრეტული დავალების/პროექტის შესრულებაზე მუშაობენ და ქმნიან საბოლოო პროდუქტს. ამ დროს თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიების საშუალებით მოსწავლეებს უვითარდებათ ინტერდისციპლინური და დავალებაზე დაფუძნებული სწავლის უნარები. მოსწავლეებს აქვთ მკაფიო მიზანი და მოტივაცია შეიძინონ ცოდნა და უნარები კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით და შეასრულონ კონკრეტული დავალება ან პროექტი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ დროს მოსწავლეებს თეორიული ცოდნის პარალელურად ცხოვრებისეულ აქტივობებზე მუშაობის პროცესში უვითარდებათ ზეპირი მეტყველებისა და სხვა პრაქტიკული უნარები. CLIL გაკვეთილებზე მოსწავლეები მუშაობენ გუნდურად და სწავლობენ კეთებით, ეს კი მათ ეხმარება სამიზნე ენა გამოიყენონ რეალურ სიტუაციებში და შეიძინონ ეფექტური კომუნიკაციის უნარები უცხო ენაზე. პრეზენტაციების, როლური თამაშების, სამეცნიერო ექსპერიმენტების, პრაქტიკული აქტივობების საშუალებით მიღებული ცოდნა და უნარები ეხმარება მოსწავლეებს ნასწავლი მოარგონ სხვა საგნებს და ასევე გამოიყენონ ეს ცოდნა და უნარები რეალურ ცხოვრებაში.

CLIL მეთოდოლოგიით ენის სწავლებისას მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც უკეთ აცნობიერებენ, რომ ენა ცალკე სასწავლო დისციპლინა კი არა, ინსტრუმენტი/მედიუმია და მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ენის პრაქტიკული გამოყენება. ასევე, ენის სიღრმისეულად შესწავლისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა ენა აღიქვან სხვადასხვა დისციპლინის ჭრილში, რამდენადაც ყველა სასწავლო დისციპლინას მისთვის დამახასიათებელი ენა აქვს, მაგალითად, მათემატიკის ან ისტორიის ენა ხასიათდება სპეციფიკური ლინგვისტური და დისკურსიული თვისებებით. შესაბამისად, ენის და საგნის ინტეგრირებული სწავლება მნიშვნელოვანი და ღირებული მიდგომაა, რამდენადაც ეხმარება მოსწავლეებს გაიუმჯობესონ საგნობრივი, ენობრივი და ტრანსდისციპლინური სასწავლო შედეგები და შეიძინონ ის უნარები და კომპეტენციები, რომლებიც გადამწყვეტია 21-ე საუკუნის მოქალაქეებისთვის.

ხათუნა მჭედლიშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გერმანული ენის ექსპერტ-კონსულტანტი

კონცენტრაციის გასაუმჯობესებელი აქტივობები უცხო ენის (და არა მარტო უცხო ენის) სწავლებაში

> ბავშვები, რომლებიც ვერ ახერხებენ კონცენტრაციას, ხშირად განსაკუთრებით ფხიზლები და მგრძნობიარენი არიან: ისინი ალიქვამენ ყველა გარეგან გამაღიზიანებელს და რეაგირებენ მასზე. ყოველ ჯერზე მათი ყურადღების ფოკუსი იცვლება, ზოგჯერ შეუმჩნევლადაც კი.

რატომ არის ასე მნიშვნელოვანი კონცენტრაცია და როგორ შეიძლება ის გავაძლიეროთ?

რთულია სასწავლო პროცესში კონცენტრაციის გარეშე შედეგის მიღწევა, მაგრამ, ამავდროულად, აზრს მოკლებულია მოსწავლეებს მოვთხოვოთ კონცენტრირება, რადგან თავად მასწავლებელს შეუძლია რეგულარული, მიზანმიმართული ვარჯიშებით, ხელი შეუწყოს კლასში კონცენტრაციის უნარის გაუმჯობესებას, შესაბამისად, უზრუნველყოს მეტი სიმშვიდე და უფრო ეფექტიანი გახადოს გაკვეთილები.

კონცენტრაციისა და ყურადღების შესახებ

ერთი და იგივეა თუ არა ყურადღება და კონცენტრაცია?

- კონცენტრაცია ყურადღების სპეციფიკური ფორმაა. თუ ბავშვი მთლიანად ჩაღრმავებულია კითხვაში, ეს იმაზე მეტყველებს, რომ მას შეუძლია ამ მომენტში დაბლოკოს ყველა გარეგანი გამაღიზიანებელი. იგი ამ დროს ყურადღებას არ აქცევს კლასსა და ქუჩაში გამეფებულ ხმაურს, არ ფიქრობს იმაზე, თუ როდის დაიწყება შესვენება. ის ფოკუსირებულია/კონცენტრირებულია მხოლოდ ერთ აქტივობაზე.
- ხოლო როცა ყურადღებაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ ზოგადად სიფხიზლეს, ანუ ადამიანის უნარს აღიქვას გარშემო ყველაფერი: ყოველი ხმა, სუნი, მოძრაობა. ბავშვები, რომლებიც ვერ ახერხებენ კონცენტრაციას, ხშირად განსაკუთრებით ფხიზლები და მგრძნობიარენი არიან: ისინი აღიქვამენ ყველა გარეგან გამაღიზიანებელს და რეაგირებენ მასზე. ყოველ ჯერზე მათი ყურადღების ფოკუსი იცვლება, ზოგჯერ შეუმჩნევლადაც კი. გარკვეულ სიტუაციებში, როგორიცაა მაგ., საფრთხე, ტვინის ეს უნარი შეიძლება დადებითიც კი იყოს, მაგრამ, ჩვეულებრივ, ეს ზედმეტად სტრესულ გარემოს ქმნის და პრიორიტეტების გონივრულად დადგენასა და უმნიშვნელო საგნების იგნორირებას ართულებს.

კონცენტრაციის სწავლა შესაძლებელია

კონცენტრაცია განიხილება როგორც სწავლის უნარისა და სწავლის წარმატების გასაღები, მაგრამ ზედმეტი გარე გამაღიზიანებლები და სხვა არახელსაყ-

რელი ფაქტორები (მაგ., დაღლილობა, ტკივილი ან ინტერესის ნაკლებობა) უარყოფით გავლენას ახდენს მასზე და მყიფე კონსტრუქციად აქცევს, ამიტომ მით უფრო მნიშვნელოვანია ყურადღების ფოკუსირების მუდმივი ვარჯიში.

კონცენტრაციის გამაძლიერებელი აქტივობები შესაძლოა საგაკვეთილო პროცესშიც იყოს ინტეგრირებული. ეს სარგებელს მოუტანს არა მხოლოდ მოსწავლეებს, რომლებსაც ათვისების სირთულეები აქვთ, არამედ ყველას—მათ შორის მასწავლებელსაც, მას შესაძლებლობა ეძლევა უკეთ, მშვიდ და ფოკუსირებულ გარემოში ჩაატაროს გაკვეთილი.

ყოველი ახალი ენა ღია ფანჯარას ჰგავს, რომელიც აფართოებს შენი ხედვის/აღქმის არეალს ცხოვრებასა და სამყაროზე. ფრენკ ჰარისის თქმით, უცხო ენების მნიშვნელობა არ შეიძლება გადაჭარბებული იყოს და აუცილებელია ერთი ან უმჯობესია ორი უცხო ენის ინტენსიურად სწავლა სკოლაში. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რომელ გზას ირჩევს მასწავლებელი საუკეთესო შედეგების მისაღწევად. კონცენტრაციისა და რელაქსაციის სავარჯიშოები და თამაშები ხელს უწყობს შემოქმედებითობას, აზროვნებას, სპონტანურობას, წარმოსახვას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, სწავლის მოტივაციას, ქმნის სასიამოვნო ატმოსფეროს საკლასო ოთახში და იწვევს ემოციურ განტვირთვას. ამიტომ ისინი უცხო ენების სწავლების განუყოფელ ნაწილს უნდა წარმოადგენდნენ.

1. დაანესეთ მოთელვის რიტუალი

ისევე, როგორც სპორტსმენი ვარჯიშს „გახურებით," მოთელვით იწყებს, თქვენმა მოსწავლეებმაც უნდა დაიწყონ გაკვეთილები ძალიან მარტივი მასალით ან კონცენტრაციის გასააქტიურებელი სავარ-

ჯიშოებით (ორი-სამი წუთი), რათა ტვინს მიეცეს დრო, ნელ-ნელა გახურდეს და გააქტიურდეს. გარდა ამისა, მოსწავლე საგაკვეთილო პროცესში ერთვება წარმატების მიღწევის შეგრძნებით, რაც შემდგომში გაკვეთილის ხარისხიანად წარმართვის საწინდარია. ე.წ. „მოთელვითი აქტივობები“ შეიძლება ასე გამოიყურებოდეს:

- ყველამ მორიგეობით და რაც შეიძლება სწარაფად თქვას ანბანი.
- წარმოთქვან ერთმარცვლიანი (ან ორმარცვლიანი...) სიტყვები, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ თემასთან, მაგალითად, ცხოველები, ქალაქები, საგნები, ფერები, ტანსაცმელი, საგნები, ზედსართავი სახელები, საერთაშორისო სიტყვები...
- დაასახელონ/ჩამოთვალონ რიცხვები უკუღმა, მოცემული რიცხვებიდან შეარჩიონ რიცხვი, რომელიც იყოფა 3-ზე (ან 4, 5, 6...).
- სთხოვეთ მოსწავლეებს, დაახლოებით ერთი წუთის განმავლობაში ყურადღების არეალში მოახვედრონ სივრცეში ერთი კონკრეტული წერტილი და ეცადონ, სხვა არაფერი აღიქვან და სხვაზე არაფერზე იფიქრონ. თანდათან შეიძლება დროის გახანგრძლივებაც.

ბავშვებს უყვართ რიტუალები. კონცენტრაციის რიტუალი მოსწავლეებს ენერგიით ავსებს და მათ სწავლისადმი დადებითად განაწყობს. ტვინი ავტომატურად განეწყობა სწავლისათვის და თიშავს სხვა აზრებსა და აქტივობებს.

2. შეგნებული/გაცნობიერებული აღქმა ყველა გრძნობის ჩართვით

ყველაფერი, რასაც ჩვენ შეგნებულად აღვიქვამთ და უკვე ნაცნობს ვუკავშირებთ, დაცულად ინახება ჩვენს გონებაში და საჭიროებისამებრ ყოველთვის შესაძლებელია მისი მეხსიერების ზედაპირზე ამოტივტივება. გაცნობიერებულ გამოცდილებას მივყავართ მეტ ყურადღებასა და კონცენტრაციამდე. გაცნობიერებულად აღქმის გავარჯიშების მრავალი გზა არსებობს, მაგალითად:

- გარკვეული დავალების მიხედვით ერთ გარკვეულ ფერსა ან ბგერაზე ერთი დღის ან კვირის განმავლობაში დაკვირვება.
- ორიგინალურ და ყალბ სურათებზე დაკვირვება და შეცდომების აღმოჩენა.
- სურათებზე ზედმეტი ობიექტების აღმოჩენა.

არსებული ხუთი გრძნობიდან ჩვეულებრივ გამოიყენება მხოლოდ ორი: სმენა და მხედველობა. სენსორული გამოცდილების ნაკლებობა, როგორებიცაა სუნი, გემო და შეხება, იწვევს „გააზრების“ ნაკლებობას. რაც უფრო მეტი გრძნობა გამოიყენება სწავლაში, მით უფრო უადვილდება ტვინს დამახსოვრება. ხელი შეუწყეთ თქვენს მოსწავლეებს სწავლისას გამოიყენონ გრძნობის ყველა ორგანო მაგ., შემდეგი აქტივობებით:

- თავად ჩაწერონ აუდიოტექსტი და შემდეგ მოუსმინონ მას;
- ერთმანეთს აუხსნან მასალა;

- აწარმოონ თვალსაჩინოდ დასურათებული რვეული;
- რაც შეიძლება ხშირად ისწავლონ კეთებით, მოსინჯონ საგნები, „გაიგონ“ და „შეიგრძნონ“ მასალა;
- სწავლებისას შეეცადონ ასევე შეიგრძნონ სუნი, რადგან ტვინი ამყარებს კავშირს სუნსა და ნასწავლს შორის.

3. მოერიდეთ რუტინას

რუტინას მივყავართ იქამდე, რომ მოსწავლეები აღარაფერს აკვირდებიან და უსმენენ ყურადღებით. ამიტომ მნიშვნელოვანია რაც შეიძლება ხშირად ცვლილებების შეტანა, მათ შორის საგაკვეთილო პროცესშიც.

- წააკითხეთ და დააწერინეთ მოსწავლეებს მნიშვნელოვანი ტერმინები, უცხო სიტყვები, სტატიების სათაურები, ფრაზები და წესები უკუღმა.
- დააწერინეთ მოსწავლეებს ხშირად ტექსტები მარცხენა ხელით და, პირიქით, თუ ისინი ცაციები არიან.
- კონცენტრაციის უნარის გაუმჯობესება ასევე შესაძლებელია აქტიური და პასიური და „გონებრივი“ და „ხელით სამუშაოს“ ფაზების მონაცვლეობით, ამგვარად თქვენი საგაკვეთილო პროცესი ყოველთვის ცოცხალი და აქტიური იქნება.

> კონცენტრაციის რიტუალი მოსწავლეებს ენერგიით ავსებს და მათ სწავლისადმი დადებითად განაწყობს. ტვინი ავტომატურად განეწყობა სწავლისათვის და თიშავს სხვა აზრებსა და აქტივობებს.

4. მოძრაობა გაკვეთილზე

ფიზიკური დასვენებიდან ფიზიკურ აქტივობაზე გადასვლა ზრდის ტვინში ინფორმაციის დამუშავების სიჩქარეს. რაც უფრო კარგად მიეწოდება ტვინს ჟანგბადი, მით უფრო ეფექტურად შეუძლია მას მუშაობა. საათობით უძრავად ჯდომა კი უარყოფითად მოქმედებს როგორც სხეულზე, ასევე გონებრივ მუშაობაზე. მოძრაობისას ფიქრი უფრო ადვილია. ამიტომ მოძრაობა ან თუნდაც „აქტიური ჯდომა“ უნდა იყოს გაკვეთილის განუყოფელი ნაწილი.

შეიტანეთ მოძრაობა თქვენს გაკვეთილებში, მოსწავლეებთან ერთად შეასრულეთ პატარა, სახალისო მჯდომარე სავარჯიშოები. სთხოვეთ თქვენს მოსწავლეებს, უფრო ხშირად გამოვიდნენ წინ ან დაფასთან, გაიზმორონ, გაიჭიმონ, დართეთ ნება, ხანდახან აკაკუნონ თითებით და აბრახუნონ ფეხები. ჩართეთ თქვენს საგაკვეთილო პროცესში პატარა სარელაქსაციო ვარჯიშები, რომლებიც აერთიანებს გამაჯანსაღებელი მოძრაობასა და სწორ სუნთქვას. მაგალითისთვის წარმოგიდგენთ ვარჯიშს „ხე“ :



„დადექი პირდაპირ და ასწიე ხელები ჭერისკენ. ხელისგულები შეართეთ და შეეცადეთ ასწიოთ ხელები რაც შეიძლება მაღლა. ახლა ასწიეთ მარცხენა ფეხი და მიიტანეთ ის მარჯვენა მუხლთან ან მის გვერდით. ღრმად ამოისუნთქეთ და ჩაისუნთქეთ ხუთჯერ. ახლა გაიმეორეთ ვარჯიში მარჯვენა ფეხით“.

სწრაფად შესასრულებელი ვარჯიშები, ერთდროულად აუმჯობესებენ კონცენტრაციას, აღქმას, წარმოსახვას, რეაქციისა და კოორდინაციის უნარს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემდგომი თამაში, რომელშიც თქვენ და თქვენი მოსწავლეები, პირველ რიგში, აწყვილებთ სხეულის ნაწილებს ასო-ბგერებთან (A-Arm, B-Bein...). მასწავლებელი ან მოსწავლეები მორიგეობით ასახელებენ ასო-ბგერას და უთითებენ შესაბამის სხეულის ნაწილზე. მსგავსი სავარჯიშოს შესრულება შესაძლებელია საკლასო ოთახში არსებული საგნებითაც.

5. გაივარჯიშე მეხსიერება

ადამიანები შეიძლება დავყოთ მეხსიერების სხვადასხვა ტიპებად:

- მეხსიერების ვერბალური ტიპი: დასამახსოვრებლად სჭირდება სიტყვები;
- ვიზუალური მეხსიერების ტიპი: საჭიროებს სურათებს;
- მოტორული მეხსიერების ტიპი: საჭიროებს მოქმედებასა და მოძრაობას.

ყველა ადამიანს დამახსოვრების თავისი სტილი აქვს. შეეცადეთ დაადგინოთ, თუ რა მიდგომა ესაჭიროებათ თქვენს მოსწავლეებს. სცადეთ დამახსოვრების სხვადასხვა მეთოდი და ფანტაზიის უნარის გასაუმჯობესებელი სავარჯიშოები. თამაშებითა და სახალისო აქტივობებით თქვენ შეძლებთ განუვითაროთ მოსწავლეებს კონცენტრაციის უნარი და დაეხმაროთ მათ უკეთ დაიმახსოვრონ მასალა. თითოეული პატარა წარმატება, განსაკუთრებით კი კონცენტრაციის პრობლემის მქონე ბავშვებში, იმის საწინდარია, რომ მათ ფეხი აუწყონ სასწავლო პროცესს. დასაწყისისთვის შეგიძლიათ სცადოთ შემდეგი აქტივობები:

▶ საბავშვო ოთახი

სთხოვეთ მოსწავლეებს, დახუჭონ თვალები და წარმოიდგინონ თავიანთი (ან სხვა რომელიმე) ოთახი. როგორი კარი აქვs? რა დგას ან დევს კარის მარცხნივ? როგორ გამოიყურება ფანჯარა? რა სურათები კიდია კედელზე? რისგან არის დამზადებული იატაკი? რა ფერის არის ავეჯი? დევს თუ არა რამე კარადის თავზე? როგორ გამოიყურება მაგიდა? როგორ გამოიყურება შპალერი? ...

▶ გზა სკოლისაკენ

ისევე, როგორც წინამდებარე მეხსიერების სავარჯიშოში, ჯერ სთხოვეთ მოსწავლეებს, დახუჭონ თვალები. შემდეგ სთხოვეთ მათ, წარმოიდგინონ, რომ დილით სასკოლო ჩანთას იღებენ და გამოდიან სახლიდან. სთხოვეთ, გაიხსენონ როგორ გამოიყურება სახლი, რომელშიც ისინი ცხოვრობენ? რომელი სახლია მის გვერდით? რა მაღაზიებია ქუჩაში? უწევთ თუ არა გზაზე გადასვლა? ხვდებათ თუ არა შუქნიშანი, ხეები? რამდენ სართულიანია სახლები, რომლესაც ჩაუვლიან? რამდენი ქუჩის გადაკვეთა სჭირდებათ სკოლაში მისასვლელად?...

ეს ე.წ. „გონებრივი კინო“ ხელს უწყობს კონცენტრირებას, ნასწავლის უკეთ გახსენებას და განსაკუთრებით ეფექტიანია ვიზუალური მეხსიერების ტიპის მოსწავლისათვის. ვერბალური მეხსიერების ტიპისთვის კი მნიშვნელოვანია ისეთი დამხმარე ტექნიკები, როგორებიცაა: „სიტყვების ჯაჭვი“, რითმები ან მნემონიკა (Eselsbrücke). რაც შეეხება მოტორულ შემსწავლელს, ის უპირატესობას ანიჭებს მოძრაობით ვარჯიშებს, მაგალითად, დასამახსოვრებელი რიცხვების ან ასო-ბგერების დაკავშირებას ფიზიკურ მოძრაობასთან. მაგალითად:

- ნული: დახრა;
- ერთი: ცალ ფეხზე დგომა;
- ორი: ორი ხელით დაკვრა პიანინოზე;
- სამი: დირიჟორობა.

6. „მე ვალაგებ ჩემს ჩემოდანს“ („ICH PACKE MEINEN KOFFER“) – განსხვავებული ვარიანტი

თამაში „მე ვალაგებ ჩემს ჩემოდანს“ უმრავლესობისთვის ცნობილია: პირველი მოსწავლე ხსნის აქტივობას ზევით ნახსენები წინადადებით და ურთავს ნივთს, რომლის წაღებაც სურს „ich packe meinen Koffer und nehme einen Regenschirm mit“, შემდეგი მოსწავლე იმეორებს რიგით წინ მდგომი მოსწავლის ნათქვამს და დაამატებს იმ ნივთის დასახელებას, რომლის წაღებაც თავად უნდა.

იმავე აქტივობის ჩატარება შესაძლებელია მოძრაობების ან ჟესტების გამოყენებით. ერთი მოსწავლე იწყებს, მაგ., ტაშის კვრით ან თითების ტკაცუნით, შემდეგი მოსწავლე იმეორებს მის მოძრაობას და ამატებს თავის მოძრაობას, მაგ., ფეხის დარტყმას და ა.შ. ამ აქტივობისას ხდება კონცენტრაციისა და მეხსიერების გავარჯიშება.

7. არწივი – ბურთი – გვირილა – სიმბოლური ანბანი

სინჯეთ თქვენს კლასთან „სიმბოლური ანბანი“. თითოეული მოსწავლე ასახელებს ანბანის შესატყვის თითო სიტყვას. მაგ., A-Apfel, B-Ball (ქართულად: ა-არწივი, ბ-ბურთი...). ამ აქტივობის შესრულებისას ყველა ყურადღებით არის, რომ არ გამოეპაროს მისი „კუთვნილი“ ასო და დროულად მოიფიქროს შესაბამისი სიტყვა. თანდათანობით შესაძლებელია სისწრაფის გაზრდაც, რათა მოსწავლეებმა უფრო სწრაფად გაიაზრონ და დაასახელონ სიტყვა.

8. ხმამაღალი კითხვა მოტივაციის ასამაღლებლად

დაიწყეთ ან დაასრულეთ გაკვეთილი მოსწავლეებისთვის რაიმეს წაკითხვით, ეს შესაძლოა იყოს ნაწყვეტი წიგნიდან, პატარა მოთხრობა, საინტერესო საგაზეთო სტატია ან თქვენ მიერ დაწერილი ტექსტი. წაკითხვის ფაზის დააანონსება შეიძლება გაკვეთილის დასაწყისშივე, რაც მოტივაციის ამაღლება გამოიწვევს. წაკითხვის დროს ყურადღება მიაქციეთ, რომ მოსწავლეები არ იყვნენ სხვა საქმით დაკავებულნი და მშვიდად გიგდებდნენ ყურს. თუ თქვენს მოსწავლეებს არ უყვართ, როცა მათ უკითხავენ, შეგიძლიათ ამის ნაცვლად ჩაატაროთ ხოლმე ვიქტორინა ზოგადი კითხვებით, ოღონდ კითხვები არ უნდა იყოს ძალიან რთული, რათა მოსწავლეებმა არ დაკარგონ მოტივაცია.

9. ხატვა წაწერის ნაცვლად

კანადურმა კვლევამ „The Surprisingly Powerful Influence of Drawing on Memory“ („ხატვის გასაოცრად ძლიერი ზემოქმედება მეხსიერებაზე“) დაადგინა, რომ ადამიანებს ორჯერ უფრო მეტი ინფორმაციის დამახსოვრება შეუძლიათ, თუ ისინი მათ ნახატებად აქცევენ. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ხატვისას ტვინში აქტიურდება ვიზუალური, კინესთეთიკური და ლინგვისტური არეალები. ამგვარად დასწავლილი მასალა უფრო ფოკუსირებულად აღიქმება და სწრაფად ილექება მეხსიერებაში. ამასთანავე მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ხატვისას არ შევუზღუდოთ შემოქმედებითი სივრცე.

10. მრავალფეროვანი მეთოდები

კლასის კონცენტრაციის უნარის გასაძლიერებლად ასევე მნიშვნელოვანია სწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება და/ან ორგანიზების ფორმის ცვლა.

კონცენტრაციის უნარის გასაუმჯობესებელი აქტივობების გარდა, სწავლის ეფექტიანობისა და კლასში კონცენტრაციის უნარის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს სწორად განლაგებული მაგიდები წარმოადგენს.

საკლასო ოთახის მოწყობის მრავალი საშუალება არსებობს. მათგან ოთხი ყველაზე გავრცელებულია: წრეში ჯდომა, ფრონტალური კონფიგურაცია, "U" კონფიგურაცია და კუნძულის კონფიგურაცია.

- თუ მოსწავლეები სხედან წრეში, ყველა თანაბრად მნიშვნელოვანია, ყველა ყურადღების არეალშია და, შესაბამისად, ენის სწავლებაც სრულყოფილად ხორციელდება. მაგიდების ასეთი განლაგება უბიძგებს მოსწავლეებს აქტიურობისკენ.
- თუ მაგიდები „U"-ს ფორმით არის განლაგებული, მოსწავლეებს საშუალება აქვთ ესაუბრონ ერთმანეთს და ასევე მასწავლებელს, გამოიყენონ რვეულები და სხვა სასწავლო მასალები. მოსწავლეებს შეუძლიათ დაინახონ და მოუსმინონ არა მხოლოდ მასწავლებელს, არამედ თანაკლასელებსაც.
- თუ მასწავლებელმა დაგეგმა თემა, რომელიც დაფისკენ ყურადღების მომართვას მოითხოვს ან მოსწავლეებს ტესტი აქვთ დასაწერი, მაშინ მაგიდების ფრონტალური (ყველა მოსწავლე პირით დაფისკენ) განლაგებაც გამართლებულია.
- თუ მოსწავლეებს აქვთ დავალება, რომელიც ჯგუფურად უნდა შესრულდეს, მაშინ ისინი ისე უნდა დასხდნენ, რომ ერთმანეთს ხედავდნენ, შეეძლოთ ერთმანეთთან ჩუმად საუბარი და ერთმანეთის კარგად გაგება, ამ შემთხვევაში მაგიდების იდეალური განლაგებაა ე.წ. „კუნძულები."

დასკვნა

ზემოთ მოხსენებული სავარჯიშოების უმეტესობას არ სჭირდება მომზადება და წაგართმევთ თქვენი საგაკვეთილო დროის მხოლოდ 2-3 წუთს. რაც უფრო მეტად იზრუნებთ კონცენტრაციისა და ყურადღების გავარჯიშებაზე თქვენს გაკვეთილზე და რაც უფრო მეტად იქნებით მისაბაძი მაგალითი ამ კუთხით, მით უფრო მალე გაიხდიან თქვენი მოსწავლეები მსგავს სავარჯიშოებს ჩვევად და მით უფრო უკეთესი შედეგი ექნებათ სწავლაში.

გამოყენებული ინტერნეტრესურსები:

1. https://www.cornelsen.de/magazin/beitraege/konzentrationsuebungen-fuer-die-schule?fbclid=IwAR0-krRDkT133ZKPLT98qcTeRQfOH0YtgJawLK5L2vMk5vb6Q_lOdUJqYBE
2. https://magazin.sofatutor.com/lehrer/5-uebungen-fuer-bessere-konzentration-im-unterricht/

„ქეისებით“ სწავლება უცხოური (რუსული) ენის გაკვეთილზე

ნინო ფეტვიაშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეროვნულ უმცირესობათა ენების ექსპერტ-კონსულტანტი

„ქეისის“ მეთოდი ინოვაციური მიდგომაა და სულ უფრო დიდ პოპულარობას იძენს ენის სწავლებაში. მეთოდი მოიცავს პრაქტიკულ სიტუაციებს და საშუალებას აძლევს მოსწავლეს გამოიყენონ ცოდნა და უნარები რეალურ ცხოვრებაში.

დღევანდელ სამყაროში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება უცხოურ ენაზე კომუნიკაცია. ექსპერტების მოსაზრებითა და კვლევებით დგინდება, რომ სწავლების ტრადიციული მეთოდები ნაკლებად ეფექტურია რეალურ სიტუაციებში საკომუნიკაციო უნარების გამოყენებისთვის. ამ სტატიაში ჩვენ განვიხილავთ ე.წ. „ქეისის“ (შემთხვევის ანალიზის) მეთოდის გამოყენების უპირატესობებსა და გამოწვევებს სკოლაში უცხოური ენის სწავლებისას.

„ქეისის“ მეთოდი ინოვაციური მიდგომაა და სულ უფრო დიდ პოპულარობას იძენს ენის სწავლებაში. მეთოდი მოიცავს პრაქტიკულ სიტუაციებს და საშუალებას აძლევს მოსწავლეს გამოიყენონ ცოდნა და უნარები რეალურ ცხოვრებაში. ეს მეთოდი რუსულის, როგორც უცხოური ენის, გაკვეთილზე არის ინოვაციური მიდგომა, რომელიც ეფუძნება მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში. იგი მოიცავს კონკრეტული პრაქტიკული სიტუაციების, შესაძლებლობებისა და პრობლემის ანალიზს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას უცხოურ (რუსულ) ენაზე კომუნიკაციის პროცესში.

მეთოდის უპირატესობები:

- ხელს უწყობს დამოუკიდებელ მუშაობას. მოსწავლეებს ურჩევენ იმუშაონ ჯგუფურად ან ინდივიდუალურად „ქეისის“ (შემთხვევის) გაანალიზებისა და ამოხსნის მიზნით. ეს მიდგომა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აითვისონ და განივითარონ პრობლემების გადაჭრის უნარები. ის ასევე ხელს უწყობს მოსწავლეს, იყოს უფრო შემოქმედებითი და ინოვაციური ენის შესწავლისადმი მიდგომისას.

- ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას და ანალიზის უნარის განვითარებას. ამ მეთოდით მუშაობით მოსწავლეებს მოეთხოვებათ ინფორმაციის შეფასება, ძირითადი საკითხების იდენტიფიცირება და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება. ეს მიდგომა ეხმარება მოსწავლეებს განივითარონ ანალიტიკური უნარები და ხელს უწყობს კრიტიკულად იაზროვნონ.
- ამ მეთოდის დანერგვა კლასში მოითხოვს მასწავლებლისგან შეარჩიოს მოსწავლეებისთვის შესაბამისი და საინტერესო „ქეისები", რაც ენობრივი პრაქტიკის გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა.
- მეთოდი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, გაკვეთილზე მიღებული ცოდნა და უნარები პრაქტიკაში გამოიყენონ. კონკრეტული პრობლემებისა და სიტუაციების გადაჭრის პროცესში მოსწავლეები სწავლობენ არა მხოლოდ რუსული ენის სწორად გამოყენებას, არამედ ივითარებენ დამოუკიდებელი მუშაობის, კრიტიკული აზროვნების, ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის უნარებს.
- მეთოდის ძლიერი მხარეა რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციასთან კავშირი, რაც გაკვეთილებს უფრო საინტერესოსა და პრაქტიკულს ხდის. გარდა ამისა, მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად, რაც ასევე ზრდის მათ მოტივაციას და ინტერესს ენის შესწავლის მიმართ. თუმცა კონკრეტული პრობლემებისა და სიტუაციების გადაჭრას

შეიძლება დროის გარკვეული რაოდენობა დასჭირდეს, რაც, სავარაუდოდ, მოითხოვს ერთი გაკვეთილის განმავლობაში შესასწავლი მასალის რაოდენობის შეზღუდვას. გარდა ამისა, „ქეისის“ მეთოდის გამოყენება მოითხოვს მასწავლებლის მხრიდან გარკვეულ მომზადებას და ორგანიზებას, რაც შეიძლება რთული იყოს დამწყები მასწავლებლისთვის.

ზოგადად, რუსულის, როგორც უცხოური ენის, გაკვეთილზე „ქეისის“ მეთოდი ეფექტური და საინტერესო მიდგომაა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენებაში. მისი გამოყენება განსაკუთრებით სასარგებლოა მოსწავლეებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გამოიყენონ ნასწავლი რეალურ ცხოვრებაში, ასევე მათთვის, ვისაც სურს განავითაროს დამოუკიდებელი მუშაობისა და კრიტიკული აზროვნების უნარები.

უცხოური ენის გაკვეთილზე „ქეისის“ მეთოდი განსაკუთრებით სასარგებლოა სასაუბრო უნარების განვითარებისთვის. სწორედ საუბარში ხვდებიან მოსწავლეები რეალურ სიტუაციას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ყოველდღიურ ცხოვრებაში და, შესაბამისად, მათთვის მნიშვნელოვანია ისწავლონ სხვადასხვა სიტუაციაზე ადეკვატურად და კომპეტენტურად რეაგირება.

მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ეს მეთოდი, რათა დაეხმაროს მოსწავლეებს სწორად გამოხატონ საკუთარი აზრები და იდეები რუსულ ენაზე, რისთვისაც გამოიყენებენ ნასწავლ ლექსიკურ ერთეულებსა და გრამატიკულ კონსტრუქციებს, მაგალითად, „ქეისები“, დაკავშირებული კომუნიკაციასთან ადგილობრივ მაცხოვრებლებთან, სხვადასხვა ქალაქებში მოგზაურობასთან ან სავაჭრო სიტუაციასთან. მოსწავლეებს შეუძლიათ მაღაზიებში ე.წ. „შოპინგთან“ დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა, რუკაზე მარშრუტის პოვნა, სასტუმროების დაჯავშნა და ა.შ.

მეთოდის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია მოსწავლეთა შორის საკითხზე მსჯელობა. თითოეულ მოსწავლეს შეუძლია დავალების შესრულების გზა წარადგინოს ჯგუფის წინაშე და ჩაერთოს დისკუსიაში, რომელშიც მასწავლებელი, როგორც ფასილიტატორი, დაეხმარება მოსწავლეებს გადაწყვეტილების გზების შერჩევაში, საკუთარი თვალსაზრისის დაცვაში.

მეთოდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მოსწავლეების მომზადება გაკვეთილისთვის. მასწავლებელს შეუძლია წინასწარ მისცეს მათ გაკვეთილის თემასთან დაკავშირებული დავალებები, რათა მოსწავლეებმა მოამზადონ და ჰქონდეთ გარკვეული იდეები გაკვეთილზე არსებული პრობლემების გადასაჭრელად. მეთოდი ასევე ეხმარება მოსწავლეს გააცნობიეროს, რომ ის იღებს აქტიურ მონაწილეობას საკუთარ განათლებაში და იძენს უნარებს, რომელთა გამოყენებაც შეუძლია რეალურ ცხოვრებაში.

მეთოდის გამოყენება შესაძლებელია სკოლაში რუსულის, როგორც უცხოური ენის, სწავლების სხვადასხვა საფეხურზე – დაწყებითი საფეხურიდან საშუალო საფეხურამდე.

დაწყებით საფეხურზე – მარტივ სიტუაციებთან დაკავშირებული დავალებები, მაგალითად, მაღაზიაში ან კაფეში წასვლა. მოსწავლემ უნდა შეუკვეთოს საკვები რუსულ ენაზე. მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეებს დავალების შესასრულებლად საჭირო მნიშვნელოვანი ფრაზებისა და სიტყვების განსაზღვრაში,

გრამატიკული კონსტრუქციების შერჩევაში. დავალების შესრულების შემდეგ, მოსწავლეებს შეუძლიათ შეადგინონ მენიუ, წარადგინონ და იმსჯელონ, თუ რა ფრაზები და ლექსიკა გამოიყენეს და როგორ შეიძლება მათი შედეგების გაუმჯობესება.

საბაზო-საშუალო საფეხურზე „ქეისი“ შეიძლება იყოს უფრო რთული და დაკავშირებული ისეთ თემებთან, როგორებიცაა მოგზაურობა, პროფესია, ინტერესები, სწავლა და სხვ. მაგალითად, მასწავლებელმა შეიძლება შესთავაზოს სიტუაცია, როდესაც მოსწავლემ უნდა შეავსოს განაცხადი სამუშაოზე მისაღებად, უნივერსიტეტში ან სასწავლო კურსზე ჩასაბარებლად. მოსწავლე ზეპირმეტყველებასთან ერთად მუშაობს წერის უნარების განვითარებაზე. შემდეგ შეუძლია ისაუბროს იმაზე, თუ რა კონსტრუქციები, კლიშეები, ფრაზები და გამოთქმები გამოიყენა და როგორ უნდა გააუმჯობესოს ფორმალური დოკუმენტებზე მუშაობა რუსულ ენაზე.

ეტაპობრივად „ქეისები“ რთულდება. მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს „ქეისი“, რომელიც დაკავშირებულია გამოკითხვის ჩატარებასთან ან ბიზნესთან დაკავშირებულ სიტუაცია. მოსწავლეები დავალების შესრულების შემდეგ საუბრობენ, თუ რა სირთულეები განიცადეს დავალების შესრულების პროცესში, რა გადაწყვეტილებები მიიღეს და რა შედეგი ჰქონდათ. რეფლექსია მათ დაეხმარება შედეგების გაუმჯობესებაში.

ამრიგად, „ქეისის“ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია სკოლაში რუსულის, როგორც უცხოური ენის, სწავლების სხვადასხვა დონეზე. სწავლების ეს მიდგომა მოსწავლეებს ეხმარება პრაქტიკაში განივითარონ რუსულ ენაზე კომუნიკაციისა და პრობლემის გადაჭრის უნარები და გაიუმჯობესონ ენის ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში.

„ქეისის“ მეთოდის გამოყენება რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

„ქეისის“ მომზადება. მასწავლებელმა უნდა მოამზადოს შემთხვევა/სიტუაცია, რომელიც საინტერესო და აქტუალური იქნება მოსწავლეებისთვის, დაკავშირებული იქნება რეალურ სიტუაციასთან, რომელშიც ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ რუსულენოვან გარემოში. „ქეისი“ უნდა შეიცავდეს სიტუაციის აღწერას, ასევე დავალებებსა და კითხვებს. წინასწარ უნდა მომზადდეს შესაბამისი რესურსები. ესაა ბარათები, დავალებები, კითხვების ბანკი, ლექსიკური ერთეულები, აუცილებლად გამოსაყენებელი კლიშეები და კონსტრუქციები. მასწავლებელი წინასწარ აცნობს მოსწავლეებს მუშაობის ფორმატს.

„ქეისის“ წარდგენა. მასწავლებელმა უნდა წარადგინოს და აღწეროს სიტუაცია, განმარტოს დავალების არსი, შეფასების კრიტერიუმები. მოსწავლეებმა საჭიროების შემთხვევაში დასვან კითხვები.

„ქეისის“ ანალიზი. მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ სიტუაციაზე, უპასუხონ შეკითხვებს და გამოთქვან ვარაუდები, მოსაზრებები. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს სირთულეების დაძლევაში, რთული მომენტების გაგებაში და ახალი ლექსიკისა და ფრაზების ახსნაში. სასურველია, გამოყენებული იქნას განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, მასწავლებლის უკუკავშირი კი მისცემს საშუალებას გააუმჯობესონ შედეგი.

შეცდომების ანალიზი. მასწავლებელი მოსწავლეთა შეცდომების გაანალიზების შემდეგ აუხსნის, როგორ აიცილონ ისინი მომავალში. ასევე სასურველია გაიმართოს დისკუსია იმაზე, თუ რა სტრატეგიებსა და ტექნიკებს იყენებდნენ მოსწავლეები დავალების შესასრულებლად.

პრაქტიკა. მოსწავლეებმა ახალი ცოდნა და უნარები უნდა გამოიყენონ საქმის თემასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ დავალებებში. მაგალითად, თუ საქმე ეხება რესტორანში საკვების შეკვეთას, მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ როლური თამაში ან შექმნან ბუკლეტი საყვარელი რეცეპტებით, აირჩიონ საყვარელი კერძი, მოამზადონ და გადაიღონ ფოტოები ან ვიდეო.

უკუკავშირი. მასწავლებელმა უნდა გასცეს უკუკავშირი შესრულებულ სამუშაოზე და შეაფასოს მოსწავლეთა პროგრესი. ასევე მოსწავლეებმა შეავსონ თვითშეფასების კითხვარი ან ზეპირად იმსჯელონ მეთოდის მიმდინარეობასა და შედეგების გაუმჯობესებაზე.

განვიხილოთ ქეისის გამოყენების მაგალითი დაწყებითი საფეხურისთვის.

„ქეისის“ მომზადება. მასწავლებელი ამზადებს „ქეისს“ თემაზე “მაღაზიაში”. მაგალითად, როგორ ვიყიდოთ მაღაზიაში რძე.

„ქეისის“ წარდგენა. მასწავლებელი წარმოადგენს სიტუაციას: “მოხვედი მაღაზიაში და გინდა რძის ყიდვა. მაგრამ არ იცი, როგორ თქვა რუსულად. რას ჰკითხავ გამყიდველს?”.

„ქეისის“ ანალიზი. მოსწავლეები განიხილავენ სიტუაციას. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს გაიგონ, როგორ ჩამოაყალიბონ ეს მოთხოვნა რუსულად. შესაძლო ფრაზები: “Дайте, пожалуйста, молоко”, “Мне нужно молоко”, “Сколько стоит молоко?” და სხვ.

შეცდომების ანალიზი. მასწავლებელი აანალიზებს მოსწავლეთა შეცდომებს და განმარტავს, თუ როგორ უნდა აიცილონ ისინი მომავალში. მაგალითად, თუ მოსწავლეებმა არ იციან სწორად როგორ ჩამოაყალიბონ თხოვნა, მასწავლებელს შეუძლია ახსნას, როგორ გამოიყენოს სიტყვა “мне нужно” ან ფრაზა “дайте, пожалуйста”. პრაქტიკული დავალების სწორად შესასრულებლად, რეკომენდებულია, ბარათებზე ფრაზებისა და კითხვების მომზადება და სხვ.

პრაქტიკა. მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სავარჯიშოს. როლური თამაში - გამყიდველი და მყიდველი. შესაძლებელია წინასწარ განისაზღვროს ის აუცილებელი ფრაზები, რომლებიც პრაქტიკაში უნდა გამოიყენონ.

უკუკავშირი. მასწავლებელი აძლევს უკუკავშირს შესრულებულ სამუშაოზე და აფასებს მოსწავლეთა პროგრესს.

„ქეისის“ მეთოდის გამოყენება დაწყებით საფეხურზე ეხმარება მოსწავლეებს გამოიყენონ ყოველდღიურ ცხოვრებაში ლექსიკა, გრამატიკა, ძირითადი ფრაზები და გამონათქვამები, განივითარონ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარები.

საბაზო/საშუალო საფეხურზე—ეხმარება გაიუმჯობესონ ენობრივი უნარები, ისწავლონ ახალი გრამატიკული კონსტრუქციები და გაიღრმავონ ლექსიკა, შეისწავლონ და კომუნიკაციაში გამოიყენონ კომპლექსური საკითხები.

„ქეისის“ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია სკოლაში რუსულის, როგორც უცხოური ენის, სწავლების სხვადასხვა დონეზე. სწავლების ეს მიდგომა მოსწავლეებს ეხმარება პრაქტიკაში განივითარონ რუსულ ენაზე კომუნიკაციისა და პრობლემის გადაჭრის უნარები და გაიუმჯობესონ ენის ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. “Case method” // Encyclopædia Britannica. — URL: https://www.britannica.com/topic/case-method (дата обращения: 15 апреля 2023 года)
2. R. L. Scherer. “Teaching by the case method”. Boston: Harvard Business School Press, 1991.
3. Метод кейсов на занятиях по русскому языку как иностранному: опыт применения / Н.В. Головань, Е.С. Красненкова // Студенческие научные чтения 2019. — СПб.: Издательство РГПУ им. А.И. Герцена, 2019. — С. 228-232.
4. И.А. Широкова. «Развитие коммуникативных компетенций на занятиях по русскому языку как иностранному с использованием метода кейсов». // Слово и Дело, №3, 2019. — С. 22-27.

მაგალითად, „ქეისი“ დაკარგული შინაური ცხოველის შესახებ. დავალება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

1. მასწავლებელი წარმოადგენს შემდეგ „ქეისს“ – დაიკარგა შინაური ცხოველი. პატრონი ძალიან მოწყენილია და დახმარება სჭირდება შინაური ცხოველის პოვნაში.
2. მოსწავლეები ჯგუფურად მუშაობენ, რათა განიხილონ შესაძლო მიზეზები, თუ რატომ შეიძლება დაიკარგოს შინაური ცხოველი და რა გააკეთონ მის მოსაძებნად.
3. ჯგუფები უზიარებენ იდეებს კლასს და განიხილავენ თითოეული წინადადების დადებით და უარყოფით მხარეებს.
4. მოსწავლეები იყენებენ ლექსიკას, რომელიც ეხება შინაურ ცხოველებს, ემოციებს და პრობლემის გადაჭრას, რათა განიხილონ ქეისი და შესთავაზონ გამოსავალი. მაგალითად, გაზეთში განცხადების განთავსება, ვიდეორგოლის მომზადება მიმართვით და სხვ.
5. მასწავლებელი და მოსწავლეები აფასებენ შემოთავაზებული გადაწყვეტილებების ეფექტურობას და განიხილავენ გეგმას, მიღებულ ანალიზს, როგორიცაა შინაური ცხოველების მოვლის მნიშვნელობა და მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა.

„ქეისი“ – მეგობრების ჯგუფი მეგობავს მოგზაურობას უცხო ქვეყანაში. მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ ქვეყანა, გაწერონ მარშრუტი, შეარჩიონ საჭირო ლექსიკა და ფრაზები, ჯგუფურად გააანალიზონ სიტუაცია ძირითადი საკითხების იდენტიფიცირებისთვის და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით. ქეისის მეთოდი საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გამოიყენონ ენობრივი უნარები უფრო კრეატიული და წარმოსახვითი გზით და ეხმარება მათ განავითარონ კრიტიკული აზროვნების უნარი. ეს არის სწავლების დინამიკური, ინტერაქტიული და ეფექტური გზა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში. ის საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოიყენონ ცოდნა პრაქტიკაში და უქმნის პირობებს მათ პიროვნული განვითარებისთვის. მეთოდის გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს სწავლის შედეგები და სწავლის პროცესი უფრო საინტერესო და ეფექტიანი გახადოს.

მაკა ნადარეიშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ფრანგული ენის ექსპერტ-კონსულტანტი

როგორ გახდე მასწავლებელი

საფრანგეთის გამოცდილება

„განათლება არის ყველაზე ძლიერი იარაღი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ სამყაროს შესაცვლელად“.
ნელსონ მანდელა

საქართველოს მაგალითზე ჩვენთვის ცნობილია, თუ რა ეტაპებს გადის ადამიანი, რომელსაც მასწავლებლის პროფესიაში შესვლა სურს, ახლა გვინდა საერთაშორისო, კერძოდ კი, საფრანგეთის გამოცდილება გაგიზიაროთ. საინტერესოდ მივიჩნიეთ ერთად განგვეხილა ის გზა, რომელსაც ჩვენი ფრანგი კოლეგები გადიან.

განათლება ნებისმიერი საზოგადოების ფუნდამენტური საყრდენია. იგი ხელს უწყობს პასუხისმგებელი და განათლებული მოქალაქეების ჩამოყალიბებას, ასევე ადამიანის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას. ამ პროცესში რთული და უკიდეგანოდ დიდი როლი აკისრია მასწავლებელს. მას საგნობრივი კომპეტენციის გარდა, პიროვნული თვისებებიც მოეთხოვება და სახელმწიფოებრივი აზროვნებაც. მასწავლებლების უნარები ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა წარმატების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს მაგალითზე, ჩვენთვის ცნობილია, თუ რა ეტაპებს გადის ადამიანი, რომელსაც მასწავლებლის პროფესიაში შესვლა სურს, ახლა გვინდა საერთაშორისო, კერძოდ კი, საფრანგეთის გამოცდილება გაგიზიაროთ. საინტერესოდ მივიჩნიეთ ერთად განგვეხილა ის გზა, რომელსაც ჩვენი ფრანგი კოლეგები გადიან.

დავიწყოთ მასწავლებლის პროფესიითა და იმ ნაბიჯებით, რომლებიც სჭირდება თითოეულ ადამიანს იმ შემთხვევაში, თუკი ამ პროფესიას შეარჩევს.

იმისათვის, რომ მასწავლებლის პროფესიაში შეხვიდე (საფრანგეთში) და თავზე აიღო ის პასუხისმგებლობა, რომელსაც მომავალი თაობის აღზრდა განვითარება ჰქვია, აუცილებლია გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. პირველ რიგში, საუნივერსიტეტო განათლება და უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი იმ სფეროში (საგანში), რომლის მასწავლებლებლობაც გსურთ. უმაღლესი განათლების აკადემიურ ხარისხს რაც შეეხება, მსურველს შეიძლება ჰქოდეს ბაკალავრის, მაგაისტრის ან დოქტორის ხარისხი. მას შემდეგ, რაც კანდი-

დატი მიიღებს აკადემიურ ხარისხს, იწყებს კონკურსისთვის მზადებას. სკოლაში მუშაობის დასაწყებად, მასწავლებლები ვალდებულები არიან გაიარონ კონკურსი. კონკურსის პირობები განსხვავდება მასწავლებლის კატეგორიის მიხედვით, ანუ იმის მიხედვით, თუ რომელ საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) და რომელი საგნის სწავლება სურთ. მნიშვნელოვანია კონკურსისთვის მზადების ეტაპი, კონკრეტულად კონკურსის თარიღის დადგენა და ტესტირებისთვის მზადება. ტესტირება – ანუ მასწავლებლის გამოცდა, საგნისა და საფეხურის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებულია, თუმცა ყველა მასწავლებელი აბარებს ფრანგულის (სახელმწიფო ენის) წერით და ზეპირ გამოცდას. ორივე შემთხვევაში, გამოცდის შინაარსობრივი მხარე ეხება სამიზნე საგნის (დისციპლინის) ცოდნას.

გამოცდის წარმატებით დაძლევის შემდეგ მასწავლებელს ევალება პედაგოგიური ტრენინგის გავლა, რომელიც მორგებულია მის ინდივიდუალურ საჭიროებებს და დამოკიდებულია სწავლების საგნის სპეციფიკასა და მასწავლებლის განათლებაზე. ამ პროცედურების წარმატებით გავლის შემდეგ კანდიდატს შეუძლია მოძებნოს მასწავლებლის ვაკანსია საჯარო ან კერძო სკოლაში.

უნდა აღნიშნოს ისიც, რომ საფრანგეთში მასწავლებლობა ერთ-ერთი კონკურენტული პროფესიაა, ამიტომაც ძალიან სერიოზულ მომზადებას საჭიროებს. კონკურსისა და ყველა ეტაპის წარმატების გავლის შემდეგ მასწავლებლის წინაშე დგას მთელი რიგი ვალდებულებებისა, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებელი. მას მოეთხოვება გარკვეული უნარების ფლობა.

> საფრანგეთში მასწავლებლის უნარები განისაზღვრება საჯარო სამსახურის პროფესიების საერთო საცნობარო ჩარჩო სისტემით, რომელიც აყალიბებს მასწავლებლის პროფესიის განსახორციელებლად აუცილებელ ცოდნას, პროფესიულ და ინტერპერსონალურ უნარებს.

საფრანგეთში მასწავლებლის უნარები განისაზღვრება საჯარო სამსახურის პროფესიების საერთო საცნობარო ჩარჩო სისტემით, რომელიც აყალიბებს მასწავლებლის პროფესიის განსახორციელებლად აუცილებელ ცოდნას, პროფესიულ და ინტერპერსონალურ უნარებს. ეს უნარები დაჯგუფებულია ხუთ ძირითად კატეგორიად და ეხება ყველა საგნის მასწავლებელს: საგნობრივი ცოდნა (საგანი, რომელსაც ასწავლის), სწავლების მეთოდების ფლობა, მოსწავლეებისა და მათი გარემოს (გარემოცვის) ცოდნა, საგანმანათლებლო პარტნიორებთან თანამშრომლობა, დაწესებულების ცხოვრებაში მონაწილეობა და უწყვეტი განათლება.

განვიხილოთ თითოეული მიმართულება დეტალურად, თუ რას მოიაზრებს ეს მიმართულებები:

მასწავლებლის საგნობრივი კომპეტენცია/ცოდნა გულისხმობს სწავლების საგნის/საგნების სიღრმისეულ, საფუძვლიან ცოდნას, ასევე სახელმწიფო ენის (ფრანგულის) ფლობას. ეს გულისხმობს ამ სფეროში არსებული ფუნდამენტური ცნებებისა და მოწინავე თეორიების კარგად ცოდნას. მოსწავლეები ხშირად ცნობისმოყვარეები არიან და სვამენ მიზანმიმართულ კითხვებს, რომლებზეც მცოდნე მასწავლებელს შეუძლია მკაფიოდ და ზუსტად უპასუხოს. მასწავლებელმა ასევე უნდა იცოდეს სწავლების საგნის გამოწვევები. სამიზნე საგნის სიღრმისეული ცოდნა მასწავ-

ლებელს საშუალებას აძლევს მოსწავლეების საჭიროებისა და შესაძლებლობების შესაბამისად დაგეგმოს გაკვეთილები, შეარჩიოს სავარჯიშოები და აქტივობები.

პროფესიული კომპეტენცია გულისხმობს სწავლების საგნის მეთოდიკისა და ტექნიკის ფლობას, სწავლების პროცესის ეფექტური თანმიმდევრობების შემუშავებასა და განხორციელებას შესაბამისი ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. სამიზნე საგნის სწავლების მეთოდიკის ცოდნა მასწავლებელს საშუალებას აძლევს, იყოს ინფორმირებული თავის სფეროში არსებული უახლესი მოვლენების შესახებ. მას შეუძლია მოსწავლეებს მიაწოდოს საგნის ჭრილში არსებული უახლესი ინფორმაცია და საგანში არსებული მიღწევები. მასწავლებელმა უნდა იცოდეს სწავლის თეორიები, სწავლების სტრატეგიები და შეფასების ძირითადი ტექნიკები. მასწავლებლის მიერ სწავლების მეთოდების ფლობის ერთ-ერთი გამოგამოხატულებაა მოსწავლეების შესაძლებლობებზე, ინტერესსა და საჭიროებებზე მორგებული სწავლების მეთოდები. ის აუცილებლად უნდა იცნობდეს და ფლობდეს დიფერენცირებული სწავლების მეთოდოლოგიას, უნდა იყენებდეს მას საჭიროების შემთხვევაში. აუცილებელი პირობაა თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიების ფლობა და მათი მიზნობრივი გამოყენება სასწავლო პროცესში. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, მასწავლებელი საგნის ექსპერტადაც მიიჩნევა და მას უნდა შეეძლოს საგნის ექსპერტის დონეზე გაუწიოს მეგზურობა იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სურთ ამ კონკრეტული საგნის მიმართულებით სწავლის გაგრძელება.

მასწავლებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია იცნობდეს **მოსწავლესა და მის გარემოცვას**, რაც კონრეტული მოსწავლის სუბიექტური რეალობის აღქმაში დაეხმარება მას. მოსწავლის ამ სუბიექტური რეალობის ცოდნა მასწავლებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მან ამ გარემოსა და მოსწავლის პიროვნული ფაქტორების გათვალისწინებით ადაპტაცია უნდა მოახდინოს და ისე დაგეგმოს სასწავლო პროცესი. მოსწავლეებისა და მათი გარემოცვის ცოდნა გულისხმობს მოსწავლეების ინდივიდუალური და სოციალური თავისებურებების ცოდნას, ასევე მათი ოჯახური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური წარმომავლობის ცოდნას და, საბოლოო ჯამში, ამ მონაცემების მოსწავლის სასიკეთოდ გათვალისწინებას სასწავლო პროცესსა და მოსწავლესთან ურთიერთობისას.

განათლების სფეროში პარტნიორებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია და მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად საფრანგეთში ეს სკოლის მასწავლებლის ვალდებულებაა. განათლების სფეროს პატრიორებად შეიძლება მოვიაზროთ დასაქმებულის სკოლისა და სხვა სკოლის მასწავლებელი, მშობლებელი, განათლების დარგში ადგილობრივი თვითმართველობა, უნივერსიტეტი, ეროვნული განათლების სერვისები და სამინისტრო. ეს ყველაფერი ერთად ხელს უწყობს პოზიტიური და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას. პატრნიროების ნუსხაში თითოეულ რგოლს თავისის მიზანი და სარგებელი აქვს. მაგალითად, პატნიორ უნივერსიტეტს შეუძლია საჭიროებისა და შესაძლებლობების შემთხვევაში გამოცდილების გაზიარება, რესურსებით მომარაგება; მშობელს კი მისი შვილი შესახებ იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის უკეთ დასაგეგმად და წარსამართად.

დაბოლოს, ორი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომლებიც აუციელებელია მასწავლებლის საქმიანობაში, ეს არის **დაწესებულების (სკოლის) ცხოვრებაში მონაწილეობა** და **უწყვეტი განათლების მიღება**. დაწესებულების (სკოლის) საქმიანობაში მონაწილეობის მიღება გულისხმობს მის აქტიურ ჩართულობას დაწესებულების პროექტებსა და სხვადასხვა გადაწყვეტილებაში; ეს შეიძლება იყოს მონაწილეობა სხვადასხვა კომიტეტში, სამუშაო ჯგუფებში, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში. ეს მონაწილეობა აძლიერებს მიკუთვნებულობის გრძნობას და ხელს უწყობს დაწესებულების (სკოლის) კულტურის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას, მისი ცხოვრების

ხარისხის გაუმჯობესებას. მეორე მხრივ, უწყვეტი განათლება მოიცავს ყველა ტრენინგსა და პროფესიული განვითარების აქტივობას, კონფერენციებს, სემინარებს, ონლაინ კურსებს და ა.შ. რომელშიც მასწავლებელე პერმანენტულად და საკუთარი საჭიროების შესაბამისად უნდა იღბდეს მონაწილეობას.

ზოგადი მოვალეობის გარდა, მასწავლებელს საკუთარი პროფესიული საქმიანობის განმავლობაში დოკუმენტაციის წარმოების ვალდებულებაც აქვს. ვნახოთ ეს დოკუმენტაცია.

საფრანგეთში, როგორც ყველა ქვეყანაში, მასწავლებელს ვალდებულება აქვს აწარმოოს საკუთარი საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ეს შეიძლება იყოს: სასწავლო პროცესის დაგეგმვის მიმართულებით **წლის გეგმა**, დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილია სასწავლო მიზნები, კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები, შეფასება. ასევე მნიშვნელოვანია **გაკვეთილის გეგმები, დასწრების ფურცელი** (დაწესებულების ადმინისტრაცილი სამსახური ხშირად ითხოვს ამას), მოსწავლეთა შეფასებები. შეფასების ნაწილში მასწავლებელმა უნდა შეაფასოს თითოეული მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება. შეფასება უნდა იყოს სასწავლო მიზნის შესაბამისი და დეტალურად გაწერილი. მასწავლებელი ვალდებულია გააკეთოს საკუთარი საქმიანობის რეფლექსია და მოამზადოს ანგარიში. დოკუმენტს ხშირად სკოლის ადმინისტრაცია ითხოვს. ანგარიშის ფურცელი შეიძლება მოიცავდეს მოსწავლის დასწრებას სასწავლო პროცესში, მისი შეფასების კონკრეტულ მაგალითებს, რეფლექსიას შეფასებასა და სწავლების მეთოდებზე, ასევე მოსაზრებებსა და წინადადებებს სამომავლო, გაუმჯობესების გზებზე. ეს არის ის ძირითადი დოკუმენტაცია, რომელიც მოეთხოვება მასწავლებელს.

რა თქმა უნდა, პედაგოგიკა, სწავლა-სწავლების პროცესი ცოცხალი პროცესია, ჩვენი კოლეგები ამბობენ კიდეც, მასწავლებელს ყოველდღიური პროფესიული ცხოვრება არასდროსაა ერთმანეთის მსგავსი (Être enseignant à l'école: «un quotidien qui n'est jamais le même)», რადგან მოსწავლეების ცვლასთან ერთად იცვლება ჩვენი ყოველდღიური, პროფესიული რუტინა. სავალდებულო საწარმოებელი დოკუმენტების ჩამონათვალიდან თქვენს ყურადღებას, მასწავლებლის **ანგარიშსა** და **მოსწავლეების შეფასებაზე** შევაჩერებ. განსაკუთრებულად საინტერესოდ მივიჩნიე მომეძიებინა დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე და შემედარებინა მათი ამ კუთხით საქმიანობა ჩვენისათვის. მასწავლებლის ანგარიში ეს არის დოკუმენტი, რომელსაც მასწავლებელი აწარმოებს თავისი საქმიანობის განმავლობაში. საგანმანათლებლო სისტემაში ეს ანგარიშები გამოიყენება სასწავლო პროგრამებისა და მასწავლებლის საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად. გარდა ამისა, მას ინფორმაციული დატვირთვაც აქვს, მასწავლებლის ანგარიში ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს, მათ მშობლებს და სკოლის ადმინისტრაციას. მას შეიძლება ახსნის / რეფლექსიის ხასიათი ჰქონდეს. ამ შემთხვევაში მასწავლებელი ანგარიშში დეტალურად განმარტავს სასწავლო პროგრამის შინაარსს, მეთოდიკასა და შედეგებს. ასეთი ტიპის ანგარიშის გამოყენება მიზანშეწონილია, როდესაც სწავლების ხარისხს ვაფასებთ. შესაბამისად, ანგარიშში მოცემული იქნება პროგრამის აღწერა, დეტალური შინაარსი, სწავლების მეთოდები, გამოყენებული რესურსები და ასევე შედეგების შეფასება. შედეგების შეფასების ნაწილში წარმოდგენილი იქნება სასწავლო პროგრამის შეფასების შედეგები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს ნიშნებს, ზეპირ ან შერილობით შეფასებას. მასწავლების ანგარიშის ამ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს შედეგების ანალიზი. შედეგების ანალიზში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები. რა თქმა უნდა ამ საბოლოო ჯამში, მოცემულია დასკვნა, რომელიც აჯამებს მასწავლებლის ანგარიშს და გვთავაზობს პროგრამის გასაუმჯობესებელ რეკომენდაციებს.

მასწავლებელს შესაძლებელია ანგარიშში მოცემული ჰქონდეს საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის წარმატებული კონრეტული მაგალითები. ასეთი ტიპის ანგარიშები შეიძლება ხშირად სხვა მასწავლებლისთვის იდეის მიმცემი იყოს. ასეთი ტიპის ანგარიშის სტრუქტურა შემდეგია:

- **შესავალი ნაწილი,** რომელშიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო ანგარიშის მიზანი და კონტექსტი;
- **საგანმანათლებლო აქტივობის აღწერა,** რომელშიც დეტალურად არის აღწერილი საგანმანათლებლო საქმიანობა, განმარტებულია მიზნები, მეთოდოლოგია და მიღებული შედეგები.
- **საგანმანათლებლო აქტივობის ანალიზი,** რომელშიც განსაზღვრულია მიზეზები, თუ რატომ იყო კონკრეტული საგანმანათლებლო აქტივობა წარმატებული, ადგენს იმ ფაქტორებს, რომლებმაც გამოიწვიეს პროგრამის წარმატება.
- **დასკვნა,** რომელიც კიდევ ერთხელ აჯამებს მასწავლებლის ანგარიშში გამოკვეთილ ძირითად მიგნებებს, და გვთავაზობს რეკომენდაციებს სხვა მასწავლებლებში სიახლის შეტანის, კოლეგის წარმატებული პრაქტიკის გაზიარების სურვილის აღძვრისათვის.

მეორე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელზედაც თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ, ეს არის მოსწავლეთა შედეგების შეფასება და ამ მიმართულებით დოკუმენტაციის წარმოება.

შეფასება საგანმანათლებლო ანგარიშების მნიშვნელოვანი კომპონენტია, რადგან ის საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ მოსწავლეების მიღწევის დონე და გავზომოთ მათი პროგრესი და მიღწეული წარმატება. შეფასება სხვადასხვა სახით შეიძლება განხროციელდეს, ეს შეიძლება იყოს ტესტი, საკლასო დაკვირვება, წერითი და ზეპირი დავალებები, გამოცდა და სხვა.

შეფასების სისტემა და სქემა უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული, ობიექტური და ვალიდური, რათა უზრუნველყოს მოსწავლეების უნარებისა და ცოდნის სამართლიანი და ზუსტი შეფასება (შეფასების ამ პირინციპებს დეტალურად არ განვიხილავთ, რადგან ეს არ არის ჩვენი სტატიის მიზანი). თითოეული მოსწავლის შეფასებების შედეგები უნდა იყოს ინტერპრეტირებული (ახსნილი, თუ რას ნიშნავს ეს შეფასება და რასთან მიმართებითაა ის გაკეთებული, მაგალითად, საგნობრივი სტანდარტის რომელ კრიტერიუმთან მიმართებითაა მოსწავლე შეფასებული) და ეცნობოს მოსწავლეებს და მათ მშობლებს კონსტრუქციული უკუკავშირის სახით. შეფასება გამოკვეთს მოსწავლის ძლიერ მხარეებსა და გასაუმჯობესებელ სფეროებს. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება იყოს გამოყენებული არა მხოლოდ მოსწავლეთა მუშაობის შესაფასებლად, არამედ სწავლების უკეთ წარმართვისათვისაც, იმ სფეროების იდენტიფიცირებისთვის, რომლებშიც მოსწავლეებს დამატებითი მხარდაჭერა სჭირდებათ. შეფასების მიზნები და ამოცანები საფრანგეთსა და საქართველოში მსგავსია, ის გამოკვეთს მოსწავლის ძლიერ მხარეს, გამოყოფს გასაუმჯობესებელ მხარეებს და სთავაზობს მათი გაუმჯობესების გზებს.

საფრანგეთში, როგორც ყველა ქვეყანაში, მასწავლებელს ვალდებულება აქვს აწარმოოს საკუთარი საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შეფასებას ძალიან დიდი დატვირთვა აქვს ფრანგული განათლების სისტემაში, რადგან ეს არის სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ყველაზე ძლიერი საშუალება. იმ შემთხვევაში, თუ შეფასების პროცესსა და შედეგების ანალიზის დროს გამოიკვეთება მოსწავლის სწავლაში არსებული სირთულე/სირთულეები, დგება ამ მოსწავლის საჭიროების შესაბამისი ინდივიდუალური, დიფერენცირებული სამოქმედო გეგმა. საფრანგეთში ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებასა და დიფერენცირებულ მიდგომას, რაც თავისთავად სწორი და ადეკვატური შეფასების შედეგად განისაზღვრება.

ამ ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების ფონზე ვნახოთ, რა უპირატესობა აქვს საფრანგეთში მასწავლებლობას, რატომ ირჩევენ ამ პროფესიას და რატომ არის ის ასეთი მაღალკონკურეტუნარიანი. საფრანგეთში მასწავლებლობას ბევრი უპირატესობა აქვს, ჩვენ რამდენიმე მათგანს შევეხებით. ესენია:

სამუშაოს სტაბილურობა (მუდმივი კონტრაქტი): საფრანგეთში მასწავლებლობა ყველაზე სტაბილური სამუშაოა, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამდებობის (მასწავლებლის პოზიციის) დაკავების შემდეგ მათ აქვთ საჯარო მოხელეების სტატუსი და შეუძლიათ შეინარჩუნონ სამუშაო პენსიაზე გასვლამდე (რა თქმა უნდა, გამონაკლისების გარდა, მაგალითად, დანაშაულის შემთხვევაში, როდესაც მასწავლებელს უწყდება სტატუსი).

სოლიდური ანაზღაურება: საფრანგეთში მასწავლებლების ხელფასები საკმაოდ მაღალია და, ამასთანავე, ისინი სარგებლობენ სოციალური შეღავათებით, როგორებიცაა ანაზღაურებადი არდადეგები, დაზღვევა (რომელიც გრძელდება საპენსიო ასაკშიც. საპენსიო ასაკში სახელმწიფო სხვა ბენეფიციარებს სტანდარტულ დაზღვევას სთავაზობს, ხოლო მასწავლებლებს ჩვეულებრივ უგრძელებენ იმ პაკეტს, რომელიც მუშაობის პერიოდში ჰქონდათ) და პენსია (გარდა სტანდარტული პენსიისა, სამუშაო დღეების მიხედვით ანაზღაურებადი პენსია).

ხელსაყრელი სამუშაო პირობები: საფრანგეთში მასწავლებლები ძირითადად კარგ მატერიალურ პირობებში მუშაობენ. მათ აქვთ სამუშაო სივრცე (სამასწავლებლო), კომპიუტერული ტექნიკა, ყველა საჭირო საგანმანათლებლო რესურსი და ადმინისტრაციული მხარდაჭერა, რაც მათ მუშაობაში ხელს უწყობს.

საინტერესო პერსპექტივები კარიერაში: მასწავლებლებლებს აქვთ კარიერული წინსვლის შესაძლებლობა, მიიღონ სხვა, უფრო საპასუხისმგებლო თანამდებოები (სკოლის დირექტორი, გარე შემფასებელი—ეროვნული განათლების ინსპექტორი (Inspecteur de l'éducation nationale), პედაგოგიური მრჩეველი, მწვრთნელი განათლების მიმართულებით). მათ ასევე შეუძლიათ გაიარონ სხვადასხვა ტრენინგი კონკრეტულ სფეროში სპეციალიზაციისთვის ან ახალი უნარების შესაძენად.

გავლენა საზოგადოებაზე: მასწავლებლებს აქვთ მნიშვნელოვანი როლი საზოგადოების ფორმირებაში, ხვალინდელი მოქალაქეების ჩამოყალიბებაში. მათ შეუძლიათ დადებითი გავლენა მოახდინონ თავიანთი მოსწავლეების ცხოვრებაზე, დაეხმარონ მათ ინტელექტუალურ, ემოციურ და სოციალურ განვითარებაში, ამიტომ მისი სტატუსი საზოგადოებაში განუზომლად მაღალია.

როგორც ვხედავთ, მასწავლებელი ძალიან დიდი გამოწვევისა და პასუხიმგებლობის წინაშე დგას. მისი როლი დიდია მომავალი თაობის აღზრდაში. შესაბამისად, საზოგადოების მხრიდან მისი პროფესიის მნიშვნელობის აღიარება აფიქრებინებს ადამიანს მასწავლებლობას. ეს ის პროფესიაა, რომლის შედეგებს ერთი ადამიანი კი არა, არამედ მთელი საზოგადოება ხედავს და განიცდის.

გამოყენებული ბმულები

1. https://www.devenirenseignant.gouv.fr/
2. http://evene.lefigaro.fr/
3. https://www.education.gouv.fr/

სახელოვნებო განათლების საკითხი საქართველოში

თათია ბარბაქაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ხელოვნების ექსპერტ-კონსულტანტი

საქართველოში სახელოვნებო განათლების კვლევა რამდენადაც საინტერესო, იმდენად რთული და კომპლექსური მოვლენაა. უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია სახელმწიფოს პოლიტიკური დამოკიდებულება. რა თქმა უნდა, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება დამოუკიდებელი და საბჭოთა საქართველოს განათლების პოლიტიკა. 1918 წელს მოპოვებული დამოუკიდებლობის შემდეგ განათლების პოლიტიკა მიმართული იყო მოდერნიზაციაზე. აქცენტი კეთდებოდა დასავლურ სტანდარტებსა და ევროპაში განათლების მიღებაზე. საბჭოთა მმართველობის დამყარების შემდეგ განათლების სისტემა ცალსახად იდეოლოგიური გახდა. აქვე აღსანიშნავია, რომ სახვითი ხელოვნება საბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღად იქცა. 1991 წლის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი განათლების სისტემას დიდი დრო დასჭირდა, რათა ჩამოყალიბებული, მიზანმიმართული და შედეგზე ორიენტირებული სახე მიეღო.

> „განათლების პოლიტიკაზე საუბრისას აღსანიშნავია სამინისტროს რამდენიმე მიმართულებით მუშაობა. ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ახლადგზარდების დასავლეთში განათლების მიღება დასახელდა.“

1918 წლის 26 მაისის შემდეგ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მთავარი ამოცანა განათლების სფეროს პოლიტიკის შემუშავება იყო. ახლად შექმნილ სახელმწიფოს სჭირდებოდა ხედვა, რომელიც, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ინტერესებს მოემსახურებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, თანხვედრაში იქნებოდა ევროპულ მიდგომებთან.

განათლების სამინისტროს მუშაობა დამოუკიდებლობის არასრული სამი წლის განმავლობაში საკმაოდ ნაყოფიერი იყო. თავდაპირველად, უნდა აღინიშნოს სკოლის მასწავლებლების გადამზადების პროგრამა. მასწავლებლებისთვის შეიქმნა სპეციალური მოსამზადებელი საგნობრივი კურსები. კურსების მიზანს წარმოადგენდა მასწავლებლების მომზადება, რათა მათ სასწავლო პროცესი ქართულ ენაზე წარემართათ. პირველი ასეთი კურსი 1918 წლის პირველ აგვისტოს გაიხსნა. კურსის გახსნისას მასწავლებლებს განათლების მინისტრმა, გიორგი

ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება დამოუკიდებელი და საბჭოთა საქართველოს განათლების პოლიტიკა. 1918 წელს მოპოვებული დამოუკიდებლობის შემდეგ განათლების პოლიტიკა მიმართული იყო მოდერნიზაციაზე. აქცენტი კეთდებოდა დასავლურ სტანდარტებსა და ევროპაში განათლების მიღებაზე. საბჭოთა მმართველობის დამყარების შემდეგ განათლების სისტემა ცალსახად იდეოლოგიური გახდა.

ლასხიშვილმა, ამ სიტყვებით მიმართა: „ნება მიბოძეთ, მოგესალმოთ, თქვენ, მოქალაქენო და მომავალი თაობის აღმზრდელნო; ნება მიბოძეთ მოგილოცოთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მისი განახლებისა და განათლების გზაზე დადგომა[1]“. აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული კურსები მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, მათგან მონაწილეებს სასურველი კურსის არჩევა შეეძლოთ. ერთ-ერთი სალექციო კურსი ხატვასა და ხელგარჯილობაში ტარდებოდა[2]. კურსების პარალელურად კი სასკოლო სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე დაბეჭდვა დაიწყო.

ქართული უნივერსიტეტის დაარსება მასშტაბური საგანმანათლებლო პროცესების დასაწყისად ტყუილად არაა მიჩნეული. ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე იყო ჩაფიქრებული, რომ პირველი პროფესიონალი ქართველი არქიტექტორის, სიმონ კლდიაშვილის, მიერ აშენებული უნივერსიტეტი ახალი ქართული სახელმწიფოს მყარ ინტელექტუალურ საყრდენად უნდა ქცეულიყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და ეროვნული მნიშვნელობის მოვლენა იყო. უნივერსიტეტის დაარსებას პრესა ასე გამოეხმაურა: „26 იანვარი შეიძლება ჩაითვალოს ქართველი ხალხის კულტურულ დღესასწაულათ. 26 იანვარს თფილისში გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი[3]“.



ქართული უნივერსიტეტი (მოგვიანებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) 1918 წ.
კანონპროექტი ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შესახებ. 1918 წ.
ფოტო და დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში.

სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნის პროცესში თავისი წვლილი შეიტანა დიმიტრი შევარდნაძემ. დიმიტრი შევარდნაძე, როგორც „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების დამფუძნებელი“, შეუძლებელია ამ მნიშვნელოვანი პროცესის მიღმა დარჩენილიყო. მას ეკუთვნის უნივერსიტეტის გერბის დიზაინი, რომელიც გვიან ანტიკური ბრინჯაოს ბალთისა და იშხნის ტაძრის მორთულობის მაგალითზეა შექმნილი. გამოსახულება გამარტივებული სახით დღესაც ინარჩუნებს უნივერსიტეტის გერბის სტატუსს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბი. ფოტო აღებულია თსუს-ს ვებ-გვერდიდან

აღსანიშნავია, რომ 1918 წლის მეორე ნახევრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის კათედრას გიორგი ჩუბინაშვილი ჩაუდგა სათავეში. ამ პერიოდიდან იწყება ქართული ხელოვნების ისტორიის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის, არსებობა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაარსებისთანავე უნივერსიტეტს ბევრი პრობლემა ჰქონდა გადასაჭრელი. მხოლოდ ახალგაზრდების მიღება და მათთვის ლექციების ჩატარება საკმარისი არ იყო. უპირველეს ყოვლისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ინფრასტრუქტურის პრობლემა ჰქონდა გადასაჭრელი. მსგავსად სხვა ევროპული უნივერსიტეტებისა, სახელმწიფო უნივერსიტეტს უნდა ჰქონოდა მდიდარი ბიბლიოთეკა. ასევე აუცილებელი იყო სხვადასხვა მიმართულებით კვლევითი ექსპედიციების ჩატარებაც. კვლევითი საქმიანობა უნივერსიტეტის მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი ფუნქცია იყო. ლოგიკურია, რომ კვლევებზე დაყრდნობით უნდა გამოცემულიყო პუბლიკაციები და საჭიროების შემთხვევაში ალბომებიც. თუმცა, ერთი საკითხია სურვილი და მონდომება ხოლო, მეორეა, რამდენად ჰქონდათ ამისათვის მატერიალური პირობები. 1920 წლის 22 მარტის

> **განათლების სამინისტროს მუშაობა დამოუკიდებლობის არასრული სამი წლის განმავლობაში საკმაოდ ნაყოფიერი იყო. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს სკოლის მასწავლებლების გადამზადების პროგრამა. მასწავლებლებისთვის შეიქმნა სპეციალური მოსამზადებელი სამნობრივი კურსები. კურსების მიზანს წარმოადგენდა მასწავლებლების მომზადება, რათა მათ სასწავლო პროცესი ქართულ ენაზე წარემართათ. პირველი ასეთი კურსი 1918 წლის პირველ აგვისტოს გაიხსნა.**

ოქმის ჩანაწერში ვკითხულობთ. „...პროფესორთა სამეცნიერო გამოკვლევები უნივერსიტეტის უსახსრობის გამო ვერ დაუბეჭდავს. მარტო პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილის ქართული ხელოვნების ძეგლების ალბომის გამოცემას დასჭირდება 300.000 მან., სურათები უცხოეთში უნდა დაიბეჭდოს და ეს გარემოება უფრო აძვირებს მის გამოცემას; ამ ალბომის გამოცემას დიდი მნიშვნელობა ექნება ქართული ხელოვნების შესწავლისთვის, როგორც ჩვენთვის, ისე უცხო ქვეყნებისათვის.[4]“.

განათლების პოლიტიკაზე საუბრისას აღსანიშნავია სამინისტროს რამდენიმე მიმართულებით მუშაობა. ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ახლაგზარდების დასავლეთში განათლების მიღება დასახელდა. საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ 1919 წელს საზღვარგარეთ სახელმწიფოს დაფინანსებით სწავლის შესახებ დამფუძნებელმა კრებამ კანონიც კი მიიღო.

გადაწყდა 75 სტუდენტის საზღვარგარეთ გაგზავნა. თუმცა, ევროპასა და ამერიკაში სტუდენტების სწავლა სახელმწიფოს საკმაოდ ძვირი უჯდებოდა. სწავლასა და საცხოვრებელ ხარჯებს ქართული ფულის ერთეულის, ბონის, გაუფასურების საკითხიც ემატებოდა. „საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ წარსულ 1919 წლის 8 ივლისს მიიღო კანონი საზღვარგარეთ სწავლა-განათლების ან სპეციალ ცოდნის შესაძენად გასაგზავნ პირთათვის ორი მილიონი მანეთის გადადების შესახებ, მაგრამ, რაკი სწავლისთვის ახალგაზრდათა არჩევა დროიანად ვერ მოხერხდა და ჩვენი რესპუბლიკის ბონების კურსიც ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლად დაეცა, დამფუძნებელმა კრებამ იმავე წლის 3 დეკემბერს დეკრეტით უკვე არჩეულ და ევროპისკენ გასამგზავრებლად დამზადებულ ახალგაზრდათთვის დამატებით გაიღო კიდევ სამი მილიონი მანეთი[5]“. ამ ოქმში აღსანიშნავი ფაქტია სახელმწიფოს დამოკიდებულება. დამატებული ფინანსებით ჩანს, რომ განათლებული ახალგაზრდები და, ზოგადად, განათლება სახელმწიფოს პრიორიტეტი იყო. მნიშვნელოვანია, რომ სამინისტრომ გასაგზავნი სტუდენტების რაოდენობა კი არ შეამცირა, არამედ საჭირო თანხა მოიძია და ბიუჯეტი გაზარდა.

საზღვარგარეთ გაგზავნილ სტუდენტებს შორის აღმოჩნდნენ სახვითი ხელოვნების დარგით დაინტერესებული ახალგაზრდებიც. 1919 წლის 3 ივლისის ქართველ ხელოვანთა საზოგადოების ოქმში ნათქვამია: „ქართველ მხატვართა საზოგადოება, გაახლებთ რა სიას ახალგაზრდა ქართველ მხატვართა, რომელნიც უნდა გაიგზავნონ საზღვარგარეთ მთავრობის სტიპენდიით. გაუწყებთ, რომ იგი ჩამოწერილია რიგითი ნიჭის, შრომის უნარის და მატერიალური მდგომარეობის მიხედვით. გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება რომ ამ სიაში შედის სამი დარგი პლასტიკური ხელოვნებისა: მხატვრობა, ქანდაკება და ხუროთმოძღვრება. ქართველ მხატვართა საზოგადოება სთვლის რა თავის თავს ამ საკითხის გადაწყვეტაში უფრო კომპეტენტურად, იმედს გამოთქვამს, რომ წარმოდგენილი სია მიღებულ იქნება დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის მიერ და წარდგენილი მთავრობასთან დასამტკიცებლად.

სია ახალგაზრდა ქართველ მხატვართა:

1) გუდიაშვილი ვლადიმირ დავითის ძე 2) კაკაბაძე დავით ნესტორის ძე 3) სიდამონ-ერისთავი ვალერიან. 4) მაღალაშვილი ქეთევან კონსტანტინეს ასული. 5) ქიქოძე შალვა გერასიმეს ძე 6) ჭიაურელი მიხეილ ედიშერის ძე 7) ერისთავი გიორგი კონსტანტინეს ძე 8)ახვლედიანი ელენე დიმიტრის ასული. 9) ხმალაძე გიორგი ვასილის ძე 10) ძნელაძე შალვა ანტონის ძე, 11) თავაძე თამარ[6]".

მარცხნიდან: ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღაშვილი, ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე. ფოტო გადაღებულია პარიზში 1925 წელს. ფოტო დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში.

> 1918 წლის მეორე ნახევრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის კათედრას ვიორგი ჩუბინაშვილი ჩაუდგა სათავეში. ამ პერიოდიდან იწყება ქართული ხელოვნების ისტორიის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის, არსებობა.

საყურადღებოა, რომ საზღვარგარეთ გასაგზავნ ახალგაზრდებს შორის დასახელებული იყო ირაკლი თოიძეც. თუმცა ქართველ მხატვართა საზოგადოებამ დამფუძნებელ კრებას თხოვნით მიმართა და ის სიიდან ამოიღეს. მიზეზად კი ირაკლი თოიძის არასრულწლოვნება დასახელდა. თუმცა მხატვართა საზოგადოებას არ დაავიწყდა, რომ ირაკლი თოიძე ხელმოკლე ოჯახიდან იყო. ამიტომ მისთვის დამფუძნებელი კრებისგან სტიპენდიის დანიშვნა მოითხოვეს.

> დამოუკიდებლობის არასრული სამი წლის მიუხედავად, საარქივო მასალებითა და პერიოდიკით მტკიცდება, თუ რამდენად პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი იყო პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკისათვის განათლების საკითხი.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მუდმივად ინტერესდებოდა საზღვარგარეთ გაგზავნილი სტუდენტების სწავლა-განათლების პროცესით. ამის შესახებ ინფორმაცია კი პრესაში აქტიურად ქვეყნდებოდა. „ცისფერყანწელების“ მიერ 1920 წელს დაარსებულ გაზეთში „ბარრიკადი“ ვკითხულობთ: „რამდენიმე კვირის წინეთ პარიზიდან დაბრუნდა საქართველოს დელეგაციის და დამფუძნებელი კრების წევრი იოსებ გობეჩია, რომელსაც დელეგაციის მიერ მინდობილი ჰქონდა საზღვარგარეთ გაგზავნილ სტუდენტების ინსტრუქტორობა. ... ჩვენი მხატვრები – გუდიაშვილი, ქიქოძე და კაკაბაძე ჩამოსვლისთანავე შეუდგნენ ენერგიულ მუშაობას და შეეცადნენ მიეღოთ მაქსიმუმი იმ ცოდნის, რაიცა შეუძლია მიიღოს მხატვარმა პარიზში. რამდენიმე თვის შემდეგ მხატვარმა ქიქოძემ უკვე იშოვნა სტუდია და დაიწყო მუშაობა. დახატული აქვს მრავალი სურათები პარიზის ცხოვრებიდან და პორტრეტები. ... გუდიაშვილმა სტუდიის შოვნა ვერ მოახერხა. ერთი ოთახი აქვს და მუშაობს შიგ. მასაც მრავალი ტილოები აქვს. მისი სურათებიც აღებულია პარიზის ცხოვრებიდან მაგრამ მისი მანერა სულ სხვანაირია და ამ მხრით გუდიაშვილის ტილოები წარმოადგენენ დიდ ინტერესს. კაკაბაძის ნახატების დათვალიერება ვეღარ მოვახერხე, მხოლოდ უნდა ვთქვა, რომ ის მეტად სერიოზულად ეკიდება თავის საქმეს. ამ ბოლო დროს მათში დაიბადა აზრი საკუთარი გამოფენის მოწყობის. ამ აზრს იცავს გუდიაშვილი. დანარჩენები მეტად სკეპტიკურად უყურებენ, მაგრამ მე მგონია გამოფენის მოწყობას ისინი შეძლებენ...[7]“.

დამოუკიდებლობის არასრული სამი წლის მიუხედავად, საარქივო მასალებითა და პერიოდიკით მტკიცდება, თუ რამდენად პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი იყო პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკისათვის განათლების საკითხი.

1921 წლის ოკუპაციის შემდეგ სახელოვნებო სფერო და განათლების სისტემა საბჭოთა იდოლოგიური წნეხის ქვეშ მოექცა. შესაბამისად, შეიცვალა სახელმძღვანელოები და სწავლების მიდგომებიც. რასაკვირველია, სკოლის და, ზოგადად, საგანმანათლებლო სისტემის მთავარ ამოცანად საბჭოთა მოქალაქის აღზრდა იქცა. “სსრ კავშირში განხორციელებულია ნამდვილი კულტურული რევოლუცია. საბჭოთა სკოლამ ამ რევოლუციაში შეასრულა გადამწყვეტი როლი, ხელი შეუწყო ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა კულტურის აღმავლობას. ... ყველასათვის გახსნილია განათლებისა და კულტურის ფართო გზა, განხორციელებულია საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება, ფართოდ განვითარდა საშუალო, პროფესიულ-ტექნიკური და უმაღლესი განათლება, უმაგალითო ტემპით ვითარდება მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება[8]“.

მოყვანილი საგაზეთო სტატიიდანაც კარგად ჩანს, რომ 70-წლიანმა საბჭოთა იდეოლოგიის ბატონობამ განათლების სისტემის ყველა მიმართულებას თავისი კვალი დააჩნია. მათ შორის ვიზუალური ხელოვნების სწავლებასაც. ათწლეულების განმავლობაში სახვით ხელოვნებას დაკარგული ჰქონდა თავისი რეალური ფუნქცია. ვიზუალური ხელოვნების არსებობის ერთადერთი მიზანი პროპაგანდის მსახურება იყო. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი არ გამორიცხავს სისტემის გვერდის ავლას, მცირე, მაგრამ მაინც შემოქმედებითად თავისუფალი სივრცის არსებობას. ასეთი მძიმე გამოცდილების შემდეგ, რა თქმა უნდა, თავისუფალ სამყაროსთან ადაპტაცია ქართველი ხელოვანებისთვის რთული აღმოჩნდა. საკომუნიკაციო ენის ძიებასა და ცივილიზებული სამყაროსთვის საკუთარი ამბის მოყოლას დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

1994 წელს მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე კარლო კაჭარავა თავის სტატიაში „რატომ არ არის საქართველო?“ კრიტიკულად განიხილავს პოსტ-საბჭოთა ქართულ არტსივრცეს. სტატია ეხმიანება საკითხს, თუ რატომ არ მოხვდა საქართველო მსოფლიოს კულტურულ რუკაზე. კარლო კაჭარავა წერს ისეთ პრობლემურ საკითხებზე, რომელთა ბოლომდე აღმოფხვრა დღესაც ვერ მოხერხდა. ამ პრობლემებს შორის განსაკუთრებით მტკივნეული იყო ხელოვანების მხრიდან ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გაუაზრებლობა, თვითიზოლაციაში ყოფნა, ხელოვნების მიმართ ზედაპირული – „ხელოსნური“ – დამოკიდებულება, შეფასების კრიტერიუმების არქონა და ნამუშევრების ხარისხი. „ეს ყველაზე იოლია – ჩვენი თავი, კიდევ ერთხელ „ობოლ“ ერად გამოვაცხადოთ (თავად ამგვარი განსაზღვრება ნონსენსია), კიდევ ერთხელ შევაქციოთ ზურგი დანარჩენ სამყაროს და თავი „დავიმშვიდოთ“ იმით, რომ ჩვენ არ ვუყვარვართ, ჩვენი არ ესმით (ცხადია, ჩვენი განსაკუთრებულობის გამო) და ა.შ. ნაცვლად ამისა, კიდევ ერთხელ შევხედოთ ჩვენს სამხატვრო ცხოვრებას და შევეცადოთ გარკვევა თანამედროვე ხელოვნების სიტუაციის ზოგად ტენდეციებში და ჩვენი „იქ“ არყოფნის კონკრეტულ მიზეზებში[9]“.

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დასავლეთის სახელოვნებო – საგანმანათლებლო სივრცე საქართველოსთვის ფართოდ გაიხსნა. დამოუკიდებლობის მოპოვებამ შესაძლებელი გახადა დასავლური სახელოვნებო პრაქტიკების გაზიარება და გააზრება. ქართულ სახელოვნებო სივრცეს, რომელშიც საგანმანათლებლო სისტემაც მოიაზრება, ყველაზე მეტად საკუთარი კონტექსტის გააზრება გაუჭირდა.

1990-იანი წლების არტპროექტები ძირითადად წარმოადგენდა თვითორ-

> საქართველო ბოლონიის პროცესს 2005 წელს ბერგენის სამიტზე შეუერთდა. ამ პროცესს მოჰყვა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სტუდენტებისა თუ აკადემიური პერსონალის ვაცვლითი პროგრამები, რაც თავისთავად პოზიტიურად აისახა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეზე.

განიზებულ, ეფემერულ, კონკრეტულ დროსა და სივრცეზე გათვლილ გამოფენებს. ფაქტობრივად, ახალ სახელოვნებო ფორმებს, რომლებითაც ძირითადად ახალგაზრდა თაობა ინტერესდებოდა, აკადემიურ განათლებასთან კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა.

ჯერ კიდევ 80-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც სამხატვრო აკადემიის სივრცეში „მეათე სართულის“ ჯგუფი შეიქმნა, უკვე გასაგები გახდა, რომ მანამდე არსებულ, მყარად დამკვირდრებულ სახელოვნებო კონცეპტებს ეს ჯგუფი არ გაიზიარებდა[10]. „მეათე სართულის“ ფორმის ძიება, ერთი შეხედვით, ჰგავდა ახალგაზრდა თაობის ამბოხს, შვილების აჯანყებას მშობლების წინააღმდეგ. თუმცა, მეორე მხრივ, ახალგაზრდა ხელოვანების ნამუშევრები საბჭოთა აზროვნებისა თუ მიდგომების საბოლოო უარყოფა იყო. განსაკუთრებით საინტერესოა ჯგუფის საგანმანათლებლო სივრცეში შექმნის ფაქტი. „მეათე სართული“ სამხატვრო აკადემიის მეათე სართულზე ჩამოყალიბდა. ფაქტობრივად, სტუდენტების ჯგუფმა სისტემა შიგნიდან შეარყია. თუმცა სისტემა უკვე ინგრეოდა. ამიტომ „მეათე სართულის“ რეაქცია სწორ დროსა და ადგილას განხორციელებული აქტი იყო.

„მეათე სართულის“ მხატვრების გამოფენა „ქარვასლაში“ (ახლანდელი თბილისის ისტორიის მუზეუმი)
1988 წ. ფოტოს ავტორი: გურამ წიბახაშვილი.

90-იანი წლების მძიმე ეკონომიკური და სოციალური ვითარების ფონზე ძალიან რთულია რაიმე სახელოვნებო-საგანმანათლებლო რეფორმაზე საუბარი. თუმცა მაინც აღსანიშნავია სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერა. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელდა პროექტი – „განათლების გარდაქმნისა და განმტკიცების პროგრამა", რომელიც მიზნად ისახავდა დაწყებითი, საბაზაო და საშუალო საფეხურებისთვის განათლების სტანდარტის შექმნას. ფინანსური მხარდაჭერის მიზანი ასევე იყო სისტემის დეცენტრალიზაცია და სახელმწიფო გამოცდების გამჭვირვალედ ჩატარება. ამისთვის კი შეიქმნა „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი", რომელმაც 2005 წელს პირველად ჩაატარა ერთიანი ეროვნული გამოცდები.[11] რაც შეეხება სახელოვნებო სივრცეს, ის არასისტემურ, თვითორგანიზაციულ სახეს ატარებდა. თუმცა პერიოდულად მაინც ეწყობოდა საინტერესო გამოფენები. სისტემის შექმნის კონტურები მეტ-ნაკლებად 2000-იან წლებში გამოიკვეთა. სახელოვნებო უნივერსიტეტებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ბოლონიის პროცესში ჩართვა. საქართველო ბოლონიის პროცესს 2005 წელს ბერგენის სამიტზე შეუერთდა. ამ პროცესს მოჰყვა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში სტუდენტებისა თუ აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამები, რაც თავისთავად პოზიტიურად აისახა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეზე. ბერგენის სამიტის ქვეთავში, „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მიმზიდველობა და მსოფლიოს სხვა რეგიონებთან თანამშრომლობა", ცალსახად აღნიშნულია, რომ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე აღქმულია, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის უმაღლესი განათლების სისტემების პარტნიორი, რომელიც ხელს უწყობს მობილობის პროცესსა და უმაღლეს დაწესებულებებს შორის თანამშრომლობას[12].

უნივერსიტეტების გარდა, რეფორმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსაც შეეხო. სკოლებისთვის შეიქმნა ეროვნული სასწავლო გეგმა-დოკუმენტი, რომელშიც ყველა საგნისთვის ჩამოყალიბდა სწავლების მიზნები, საშუალებები და მოსალოდნელი შედეგები. პირველ ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოიყო 6 ძირითადი საგნობრივი ჯგუფი. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანი ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდის ჯგუფში გაერთიანდა[13]. აღნიშნულ ესგ-ში ხელოვნების საგანი არცთუ მომგებიან პოზიციაში იმყოფებოდა, რადგან ხელოვნება კვლავ ხელსაქმის კონტექსტში ექცეოდა. მეორე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის დანერგვა 2011 წლიდან დაიწყო. თუმცა განსაკუთრებული ცვლილება ხელოვნების საგანს არ შეხებია. უკვე მომდევნო პერიოდში მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყო სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დამოუკიდებელ საგნად წარმოჩენა. მესამე თაობის ესგ-ს თანახმად, ხელოვნების საგანმა სრულფასოვანი საგნის პოზიცია მოიპოვა. სახელმძღვანელოებში პრაქტიკულ სამუშაოებთან ერთად გათვალისწინებულია თეორიული ნაწილი, რაც უდავოდ პოზიტიური ფაქტია. მესამე თაობის ესგ-ს მიხედვით შედგენილი სახელმძღვანელოებით მოსწავლეები სწავლობენ ვიზუალური ენის კითხვას. მათ უვითარდებათ ესტეტიკური აღქმა და ნელ-ნელა იმსხვრება სტერეოტიპი, რომ ხელოვნების საგანს მხოლოდ დეკორატიულ-გამოყენებითი ფუნქცია აქვს.

მიუხედავად ცვლილებებისა, ზოგადსაგანმანათლებლო თუ უმაღლესი განათლების დონეზე სახელოვნებო განათლებას კვლავ ბევრი პრობლემა აქვს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან მეტად დაახლოება იყო. მაგალითად, UNESCO-ს 2021 წლის დოკუმენტი ხელოვნების სწავლებას მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად განიხილავს[14]. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ ხელოვნების სწავლება ხელს უწყობს ემპათიური, სოციალური საკითხების მიმართ მგრძნობიარე, აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბებას. UNESCO-ს დოკუმენტიდანაც ცხადი ხდება სახვითი ხელოვნების სწავლების მნიშვნელობა. შესაბამისად, სახელოვნებო განათლების საკითხი დღეს გაცილებით მეტ აქტუალობას იძენს, ვიდრე ეს გუშინ იყო.

ბიბლიოგრაფია:

1. ნატო სონღულაშვილი, „საგანმანათლებლო სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)“ გამომცემლობა „უნივერსალი“ 2021 წ.
2. გიორგი ჭანტურია, მერი ქადაგიძე, გიორგი მელიქაძე „სასკოლო განათლების ისტორია 1990-2020“, დაბეჭდილია სტაბმა „კოლორში“, 2020 წ.
3. უშანგი ობოლაძე, „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში 1921-1930“, წიგნი II, გამომცემლობა „ცოდნა“, 1962 წ.
4. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918 წ. 8 აგვისტო;
5. ერთობა: ყოველდღიური გაზეთი; თბილისი 1918 წ. 28 იანვარი;
6. ბარრიკადი, „ხელოვნება პარიზში“, 1920 წ. N 2; https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/146882/1/Barrikadi_1920_N2.pdf
7. კარლო კაჭარავა, „რატომ არ არის საქართველო?“, გაზეთი „7 დღე“, 1994 წ. N9
8. თეონა ჯაფარიძე, „ომი და დასავლეთისკენ“ https://archive.propaganda.network/ka/overview/period/3
9. ბოლონიის პროცესი; ბერგენის სამიტი https://mes.gov.ge/content.php?id=1856&lang=geo
10. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 970;
11. საქართველოს საისტორიო ცენტრალური არქივი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 1001;
12. https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000376144

შენიშვნები:

1 გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918 წ. 8 აგვისტო, გვ.3
2 ნატო სონღულაშვილი, „საგანმანათლებლო სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)“, გვ.321
3 ერთობა: ყოველდღიური გაზეთი; თბილისი 1918 წ. 28 იანვარი, გვ. 2
4 სცსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 970, ფ. მე-17
5 იქვე;
6 სცსა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 1001, ფ. 83-ე
7 „ბარრიკადი“, „ხელოვნება პარიზში“, 1920 წ. N 2 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/146882/1/Barrikadi_1920_N2.pdf
8 უშანგი ობოლაძე, „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში 1921-1930“, წიგნი II, გვ.4
9 კარლო კაჭარავა, „რატომ არ არის საქართველო?“, გაზეთი „7 დღე“, 1994 წ. N9, გვ. 9
10 თეონა ჯაფარიძე „ომი და დასავლეთისკენ“ https://archive.propaganda.network/ka/overview/period/3
11 გიორგი ჭანტურია, მერი ქადაგიძე, გიორგი მელიქაძე „სასკოლო განათლების ისტორია 1990-2020“ გვ.41
12 ბოლონიის პროცესი; ბერგენის სამიტი https://mes.gov.ge/content.php?id=1856&lang=geo
13 გიორგი ჭანტურია, მერი ქადაგიძე, გიორგი მელიქაძე „სასკოლო განათლების ისტორია 1990-2020“, გვ.93
14 https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000376144

ნაფიქრალი ლელა თათარაიძეზე

მია ბალაშვილი

ეთნომუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ლელა თათარაიძეზე პირდაპირ შეგვიძლია ითქვას, რომ ის არის საუკეთესო წარმომადგენელი, ნამდვილი ეტალონი თუშური მუსიკალური შემსრულებლებისა.

ისტორიულად, სწორედ მისი დარი დიდოსტატები ახდენდნენ ხოლმე დიდ გარღვევებს, აკეთებდნენ იმ აღმოჩენებს ხალხურ შემოქმედებაში, რომელთაც შემდგომში სხვები ითვისებდნენ. ეს აღმოჩენები ხალხის კოლექტიური ცნობიერების ნაწილად იქცეოდა და საერთო, ეროვნულ, ფოლკლორულ მემკვიდრეობად ყალიბდებოდა.

ლელას მსგავსი კორიფეები, ხალხის ნაწილნი და ხალხის შემოქმედებიდან ამოზრდილნი, იპყრობდნენ საოცარ სიმაღლეებს და მწვერვალზე მდგომნი, სხვებს ეხმარებოდნენ ამ სიმაღლისკენ სავალი გზის დაძლევაში.

მოგეხსენებათ, ძველ რომაელებს ეკუთვნით ცნობილი გამონათქვამი: „არს ლონგა, ვიტა ბრევის“ – სიცოცხლე ხანმოკლეა, ხელოვნება კი მარადიულიო. ლელა თათარაიძე მთელი ცხოვრება თავდადებით ემსახურება მარადიულობასთან წილნაყარ ხელოვნებას – ქართულ ფოლკლორს და, მიუხედავად იმისა, რომ ფოლკლორის ერთ-ერთი ცნობილი განსაზღვრება ასეთი გახლავთ – „ხელოვნება – არახელოვნება“ (რაც მის შინაგან ამბივალენტობას წარმოაჩენს და ეს ორბუნებოვნება გულისმობს იმას, რომ ფოლკლორი ბოლომდე არასოდეს სწყდება ყოფას და გარკვეული დოზით მაინც ინარჩუნებს საკუთარ თავში უტილიტარულ ხასიათს), ამისდა მიუხედავად, იმდენად რაფინირებულია ლელა თათარაიძის შემოქმედების ესთეტიკური ბუნება, რომ იგი სწორედ მაღალი, ნატიფი ხელოვნების ნიშან-თვისებებით ხასიათდება.

ერთი ფრაზით რომ ეთხოვა ვინმეს ლელას საშემსრულებლო სტილის დახასიათება, ასე ვიტყოდი: ღრმა ტრადიციულობასთან შერწყმული ელვარე ინდივიდუალიზმი. ამასთან, ლელა თათარაიძის შემოქმედებას შინაგანი მრავალ-

> ერთი ფრაზით რომ ეთხოვა ვინმეს ლელას საშემსრულებლო სტილის დახასიათება, ასე ვიტყოდი: ღრმა ტრადიციულობასთან შერწყმული ელვარე ინდივიდუალიზმი.

ფეროვნება და ფართო სახეობრივ-ემოციური დიაპაზონი გამოარჩევს. მისი ნამღერი რბილი, დახვეწილი, ქალურია და, იმავდროულად, შინაგანად დამუხტული, გაუტეხელი, ძალმოსილი... თანაც, ეს ყოველივე ბუნებრივად, ყოველგვარი დაპირისპირების გარეშე თავსდება განუმეორებელ საშემსრულებლო მანერასა და ბგერათწარმოქმნაში. ლელასთან ერთი სიმღერის მანძილზე ისე იცვლება ემოციური შეფერილობა ინტონაციური ქსოვილისა, როგორც ამინდი მთის ხეობაში, ისეთივე ელვარე და გამომსახველია მისი ხმის ტემბრი, როგორიც მთის კალთებზე არეკლილი მზის სხივებით შექმნილი ფერთა უმდიდრესი გამა.

ლელა თათარაიძე დიდი მომღერალია, პირველ რიგში, იმიტომ, რომ თავად ის ხელოვნებაა დიდი, რომლის უბადლო ინტერპრეტატორი და თანაშემოქმედიცაა, როგორც ფოლკლორული ქმნადობის უწყვეტი, მრავალსაუკუნოვანი ჯაჭვის შემადგენელი ნაწილი. გარდა ამისა, იგი იმ ნიშნითაც არის დიდი მომღერალი, რომელიც მხატვრული აზრის განზოგადებისა და მუსიკალური ხორცშესხმის შინაგან მასშტაბურობას გულისხმობს. ამ მხრივაც ლელას ბადალი არ ჰყავს. ერთი შეხედვით უბრალო, ლირიკულ თუშურ მელოდიას ისე იმღერებს, რომ თავად შენ შეიცვლები და აღარასდროს იქნება შენი ლირიკული სამყარო ისეთი, ამ მელოდიის მოსმენამდე რომ იყო. იგი გგცვლის, გაკეთილშობილებს, სულს გილამაზებს ისე, როგორც ეს მხოლოდ დიდ შემოქმედთ ძალუძთ... და კიდევ ერთი, სადაც არ უნდა ააჟღერო ლელას ნამღერი ნებისმიერი ეპოქის, ნებისმიერი ჟანრის, მსოფლიო სახელის მქონე მომღერლის ჩანაწერის გვერდით, იგი არ

გაფერმკრთალდება, არ დაკარგავს მხატვრულ ღირებულებასა და თვითმყოფადობას.

არაერთხელ მაქვს ჩემი თვალით ნანახი, თუ როგორ მომაჯადოებელ ზემოქმედებას ახდენს ლელა თათარაიძის შესრულება უცხოელ მსმენელსა და მაყურებელზე. ჩემს საზღვარგარეთულ ლექციებში, როგორც წესი, საილუსტრაციოდ ყოველთვის ვრთავ ხოლმე რამდენიმე ფოლკლორულ ნიმუშს ლელა თათარაიძის შესრულებით. არასოდეს დამავიწყდება ის აღტაცება, რომლითაც მას ხვდებოდნენ ჰარვარდის უნივერსიტეტში, სტენფორდის უნივერსიტეტში, ბერკლიში, ჰელსინკის სიბელიუსის აკადემიაში, ოსლოს კონსერვატორიაში, მადრიდის სამეფო კონსერვატორიაში. იქაური პროფესურა და სტუდენტები ერთხმად აღნიშნავდნენ ლელას უბადლო ოსტატობასა და თვითმყოფადობას.

ერთი იდუმალება აქვს კიდევ ჩემთვის ლელას შემოქმედებას. ეს არის დროსთან მიმართება. დიდი ფრანგი მკვლევარი, კლოდ ლევი-სტროსი აღნიშნავს, მითოსის მსგავსად მუსიკაც დროის განადგურების უნივერსალური ინსტრუმენტიაო. როცა უსმენ ლელა თათარაიძეს, დრო თითქოს კარგავს ჩვეულ, ქრონოლოგიურ ბუნებას და სულ სხვა, გაცილებით დიდ მნიშვნელობას იძენს. ამასთან, ვერ ხვდები რომელი ეპოქაა შენ წინაშე... ის, რა დროშიც ეს ჰანგი თავდაპირველად შეიქმნა და აჟღერდა, თუ – დღევანდელობა... სიმღერის პირველქმნილობისა და თანამედროვე შეფერილობის ერთდრულად ასეთი შინაგანი ორგანულობით წარმოჩენა მხოლოდ ლელა თათარაიძის დონის ოსტატს შეუძლია. ამიტომაც, რაც უფრო ხშირად ვისმენ ხოლმე ლელას ნამღერს:

„მეკითხა დილა-ცისკარ-საღამოს,
მყოლოდა ლელა, ბაკური, ჩონთა,
რომ ვყვარებოდი მწყემს და სალამურს,
იქნება ჯობდა, იქნება ჯობდა...“

სულ უფრო მეტად ვფიქრობ, რომ არ ჯობდა. თუ ასეთი შედევრები აღარ უნდა შექმნილიყო, მაშინ ძალიანაც კარგი, თუ მწყემსმა და სალამურმა სხვა შეიყვარა და გაუხუნარი მხატვრული ღირებულების მქონე ეს მარგალიტები ჩვენ დაგვრჩა. ყოველ შემთხვევაში, ქვეყნისთვის ნამდვილად ასე სჯობდა. ეს, ცხადია, ხუმრობით. სერიოზულად კი ის მინდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის, არა მხოლოდ როგორც ეთნომუსიკოლოგისთვის, არამედ როგორც ინსტრუმენ-

> ROCA USCEN DEDA TATARAIZES, DRO TITTOS KARGAVS RCEUL, CRONOLOGIURI BUNEBAS DA SUL SCVA, GACIDEBIT DID MNISVNELOBAS IZENS. AMASTAN, VEN KVDEBI, ROMELI EPOCAA SEN WINASE... IS, RA DROSIC ES HANGI TAVDAPIRVELAD SEIQMNA DA AGLEBDA, TU – DLEVANDELOBA...

ტალისტისთვის, დღემდე ამოუცნობია ის მაგია, რომლითაც ლელა სიცოცხლეს შთაბერავს ხოლმე გარმონს.

საოცარია, როგორი სინატიფით გრძნობს იგი იმ იდუმალ მომენტს, როდესაც მუსიკალური ფრაზა დასასრულს უახლოვდება და მხოლოდ მას, როგორც ნამდვილ მუსიკალურ დემიურგს, ძალუძს გაუხანგრძლივოს ამ ფრაზას სიცოცხლე და განუმეორებელი იერი შესძინოს ან, პირიქით, უმალ ჩააქროს და ახალი ფრაზა მოუნაცვლოს. გასაოცარია, რა ფაქიზად გრძნობს ის ამ ძნელად შესამჩნევ წყალგამყოფს და განსაცვიფრებელი ოსტატობით როგორ წარმოაჩენს ხოლმე ტემპო-რიტმულ თუ ინტონაციურ ნიუანსებს!

ლელა იმ ნიშნითაც უნივერსალურია, რასაც ინსტრუმენტული და ვოკალური შესრულების შინაგანი ერთიანობა ჰქვია. ვერავინ ახერხებს, მასავით „აამღეროს“ თუშური გარმონი და ვერც იმას ახერხებს, ინსტრუმენტული ფაქტურა ასე ბუნებრივად მოარგოს საკუთარ ვოკალს. როცა ლელა თათარაიძის განუმეორებელ ვიბრაციას ისმენ, თითქოს თვალწინ გიდგას „... გარმონზე აცეკვებული თითები თუში ქალისა...“ იმდენად მკაფიო და გამომსახველია ვოკალური ფრაზის დასასრულს მისეული მიმქრალი ვიბრაციით მოხაზული მუსიკალური ინტერვალები, რომ ლამის გარმონის ხის კლავიშების ხმაც კი მოგესმას, ლელას ბაგეთაგან აჟღერებული.

რა ბედნიერებაა, რომ ამ ქვეყნად ლელა თათარაიძე ცხოვრობს და გვაქვს საშუალება ცოცხლად მოვუსმინოთ, დავტკბეთ და ვეზიაროთ ქართული ჰანგის იდუმალებას... „რა ლამაზია თუშეთი და ლაშარობა თუშური...“

YAMAHA-ს სასკოლო პროექტი

რუსუდან თაყაიშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მუსიკის ექსპერტ-კონსულტანტი

იაპონიაში ზოგადი სამუსიკო განათლების სფეროში 2015 წლიდან ხორციელდება Yamaha School Project, რომელმაც რვა წლის განმავლობაში სხვა ქვეყნებიც მოიცვა.

1887 წ-ს დაარსებული მსოფლიოში აღიარებული კორპორაციის მიერ ზოგადი განათლების სფეროთი დაინტერესება რამდენიმე ფაქტორით უნდა იყოს განპირობებული. ამ პროექტის უმთავრეს წინაპირობად წარმოგვიდგება მისი, როგორც 1) მუსიკალური ინსტრუმენტების მწარმოებლის ინტერესი[1] და 2) 1954 წ-ს დაარსებული Yamaha-ს სამუსიკო სკოლების ქსელი, რომელიც შემდეგ 1966 წ-ს Yamaha Music Foundation-ად ჩამოყალიბდა და დღესდღეისობით 5.000 000-მდე მოსწავლე ჰყავს აღზრდილი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იამაჰას სამუსიკო განათლების სისტემა ჰოლისტურ მიდგომებს ეყრდნობა და თითოეული ბავშვის შემოქმედებით განვითარებაზეა ორიენტირებული შემსრულებლობისა და კომპოზიციის გზით. სისტემას უნიკალური, თანმიმდევრული სწავლების მეთოდი აქვს[2]. მის მიზანი სამუსიკო განათლებისა და მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციაა. სწავლება 10 წელს გრძელდება. ბავშვების ინტერესს მუსიკის მიმართ იწვევს განსხვავებული მუსიკალური საქმიანობა, როგორებიცაა მოსმენა, მღერა, მოძრაობა და რიტმების შესრულება/დაკვრა. მუსიკით დაინტერესებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს აქტივობად ითვლება, ასევე, მუსიკის მოსმენის სწავლება და ამ პროცესში ხალისით ჩართვა.

> „მსოფლიოში ბევრი ბავშვია, რომლებსაც არ ეძლევათ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრის საშუალება, რადგან მათ არ აქვთ სამუსიკო განათლების შესაფერისი გარემო და ალჭურვილობა, მასწავლებლები და კურიკულუმი". სწორედ ამან მისცა ბიძგი კორპორაციის გადაწყვეტილებას სამუსიკო განათლების სამოქმედო არეალის გაფართოების შესახებ, რაც ზოგადსაგანმანათლებლო სივრცის ათვისებას გულისხმობდა.

Yamaha Music Schools-ის მიერ შეთავაზებული სისტემა 2 წლის ასაკიდან იწვევს ბავშვებს და შემდეგ კურსებს მოიცავს:

კურსი		ასაკი
Red Apple Course	წითელი ვაშლი	2-3
Music Wonderland	მუსიკის საოცრებათა ქვეყანა	3-4
Junior Music Course	მუსიკის კურსი უმცროსი ასაკისათვის	4-6
Junior Extension Course	გაფართოებული კურსი უმცროსი ასაკისათვის	6-8
Junior Step Fundamental Course	საბაზისო კურსი უმცროსი ასაკისათვის	6-8
Junior Step Course	კურსი უმცროსი ასაკისათვის	7-9
Junior Ensemble Course	საანსამბლო კურსი უმცროსი ასაკისათვის	8-10
Junior Advanced Course	გაღრმავებული კურსი უმცროსი ასაკისათვის	8-10

გთავაზობთ კურსის—წითელი ვაშლის (Red Apple)—აღწერილობას, რომელიც ყველაზე ადრეული ასაკიდანაა გათვლილი. კურსი

- განსაზღვრულია 2 წლიდან ასაკის ბავშვზე და გულისხმობს მშობლის მონაწილეობასა და მეცადინეობაზე დასწრებას.
- თითოეული მეცადინეობა გრძელდება 40 წუთს.
- მიმდინარეობს 6 თვის ან 1 წლის განმავლობაში.
- ჯგუფში წევრების რაოდენობა არ აღემატება 8 ბავშვს.
- Red Apple უშუალოდ ამზადებს მოსწავლეს მომდევნო კურსისათვის „Music Wonderland“ („მუსიკის საოცრებათა ქვეყანა“).[3]

აქვე აღვნიშნავთ, რომ Yamaha ყოველწლიურად უწევს ორგანიზებას ახალგაზრდული შემოქმედების კონცერტს "Junior Original Concert", სადაც მოსწავლეებს მათი ორიგინალური კომპოზიციების წარდგენის საშუალება ეძლევათ. ეს არ არის კონკურსი. ღონისძიებას დათვალიერების, შეიძლება ითქვას, გაცნობის სახე უფრო აქვს, რომელშიც მონაწილეობენ ბავშვები მთელი მსოფლიოდან და სადაც მათ პროფესიონალურ გარემოში ეძლევათ საკუთარი შემოქმედების წარდგენის შესაძლებლობა, რაც სამომავლო განვითარებისათვის დიდ სტიმულს აძლევს.

სამუსიკო სკოლის ერთ-ერთი ყოფილი სტუდენტი წერს, რომ მას ადრეულ ასაკში დაწყებულმა მუსიკალურმა განათლებამ გაუხსნა მუსიკის სამყარო: „ვერ შევძლებდი ინსტრუმენტებზე დაკვრას, ვერც სიმღერებს დავწერდი იმის გარეშე, რაც სკოლამ მასწავლა! მოხარული ვარ, რომ მაზიარეს მუსიკას, როცა პატარა ვიყავი. აქ შევიძინე შესანიშნავი მეგობრები... ბედნიერი ვარ, რომ ასეთი საჩუქარი გამიკეთეს ჩემმა მშვენიერმა მასწავლებლებმა და მშობლებმა."

კორპორაცია მუდმივად შეისწავლის სამუსიკო განათლების ბაზარსა და მომხმარებელს. მიუხედავად იმისა, რომ ამ სისტემის სამუსიკო სკოლები მთელ მსოფლიოში ავრცელებს განათლებას და შესანიშნავი შედეგები აქვს, კვლევების მიხედვით, „მსოფლიოში ბევრი ბავშვია, რომლებსაც არ ეძლევათ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრის საშუალება, რადგან მათ არ აქვთ სამუსიკო განათლების შესატყვისი გარემო და აღჭურვილობა, მასწავლებლები და კურიკულუმი". სწორედ ამან მისცა ბიძგი კორპორაციის გადაწყვეტილებას სამუსიკო განათლების სამოქმედო არეალის გაფართოების შესახებ, რაც ზოგადსაგანმანათლებლო სივრცის ათვისებას გულისხმობდა.

Yamaha School Project მიზნად ისახავს ბავშვებისათვის მუსიკალურ ინსტუმენტზე დაკვრით სიამოვნების შესაძლებლობის მიცემას და განვითარებად ქვეყნებში მუსიკის შემსრულებელთა პოპულაციის გაზრდას. მისი მისიაა, შეიქმნას მშვიდობიანი სამყარო, სადაც ყველა ერის წარმომადგენელ ბავშვს შეეძლება ისიამოვნოს და ჩაერთოს გონების გასავარჯიშებელ აქტივობებში მუსიკისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.



წარმოდგენილი პოსტერი პროექტის გეგმად შეიძლება ჩავთვალოთ, სადაც 1. პრობლემა (მარცხნივ) 2. მისი გადაჭრის გზა (შუა ნაწილი) და 3. მისაღები შედეგი (მარჯვნივ) თვალნათლივ და ხატოვნადაა ასახული:

1. მასალის, განსწავლული მასწავლებლების, მუსიკალური საკრავების სიმწირე და კურიკულუმის არარსებობა, როგორც პრობლემა; 2. პრობლემის ერთი პაკეტის მეშვეობით – მუსიკალური საკრავები, საგანმანათლებლო მასალა, ტრენინგები მასწავლებლებისათვის, მთავრობასთან თანამშრომლობა – გადაჭრა; და შედეგად 3. ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ყველა მოსწავლეს შეეძლება ისიამოვნოს მუსიკით, რომელსაც კერძო თუ საჯარო სკოლაში თავისივე მასწავლებლისგან ისწავლის.

პროგრამის მიხედვით, თითოეული მონაწილე მასწავლებელი უზრუნველყოფილია ტრენინგით, მასალებით, მეთოდური ინსტრუქციებითა და საკრავებით. პანდემიის დროს ტრენინგები ონლაინ მიმდინარეობდა.

პროექტის მიხედვით, დაკვრა ორ ინსტრუმენტზე – ელექტროფორტეპიანო[4] და ბლოკფლეიტა[5] (Recorder) ისწავლება, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა სისტემისა და შეხედულების შერწყმას წარმომოადგენს.

.



პროექტის განხორციელებაში უშუალოდ მონაწილეობს იაპონიის მთავრობა, კერძოდ, იაპონიის განათლების, კულტურის, სპორტის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო/იაპონიის საელჩო, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო JICA[6], რომელიც ხელს უწყობს პროექტის გავრცელებას სხვა ქვეყნებში. ასევე, საგარეო სავაჭრო ორგანიზაცია JETRO[7], აკადემიური ინსტიტუციები – იოკოჰამას ეროვნული უნივერსიტეტი, ტოკიოს გაკუგეის უნივერსიტეტი, Japan School Abroad, რომლებიც პაუხისმგებლები არიან კურიკულუმებსა და პროექტის ეფექტურობის გაზომვაზე. მის დანერგვაში ჩართულია „იაპონური განათლების დანერგვა საჯარო და კერძო თანამშრომლობის პლატფორმის გამოყენებით“ EDU-Port Japan.

პროექტი ამჟამად შვიდ ქვეყანას მოიცავს:

- იაპონია
- ვიეტნამი
- ეგვიპტე
- ინდონეზია
- ინდოეთი
- მალაიზია
- ბრაზილია.

პროექტი თითოეულ ქვეყანაში შესაბამისი სფეროს სამინისტროს მიერაა მხარდაჭერილი და დანერგვის პასუხისმგებლობები გადანაწილებულია მათზე.



პროექტის მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა 2022 წლის მონაცემებით 1 200 000-ს აღემატება. თითოეული ქვეყნის გამოცდილება ქმედით მნიშვნელობას იძენს ყოველი ახალი მონაწილე ქვეყნისათვის. თუმცა პროცესები გარკვეული განსხვავებებით წარიმართება. მაგალითად, მალაიზიაში 2015 წლიდან დანერგილი Yamaha-ს კლასგარეშე აქტივობები 2017 წელს განათლების სამინისტროს კლასგარეშე აქტივობების სამმართველოდ ჩამოყალიბდა და გაფართოვდა ქვეყნის მასშტაბით 16 შტატის 400 სკოლამდე. 2020 წლიდან კი მუსიკა გამოეყო ხელოვნებას დამოუკიდებელი საგნის სტატუსით. სამინისტროს მიერ მალაიზიაში ფინანსდება The Keyboard Music Time Festival—საფორტეპიანო მუსიკის ყოველწლიური ფესტივალი, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების საშემსრულებლო ჩვევებისა და მალაიზიაში მუსიკალური განათლების განვითარებას. მომავალში იგეგმება სხვა საკრავების გავრცელებაც.

2015 წელს ინდონეზიაში ყველა მეორეკლასელი ჩაერთო Yamaha-ს პროექტში და თანდათან გაიზარდა იმ ბავშვების რიცხვი, რომლებიც სიამოვნებით უკრავენ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე. 2017 წელს Yamaha-მ განახორციელა ბლოკფლეიტისა და ფორტეპიანოს პროგრამები ინდონეზიის 490 სკოლაში. Yamaha-მ ინდონეზიის განათლების სამინისტროსთან ერთად ჩაატარა ინსტრუმენტული ანსამბლების ვიდეო კონკურსი იმ მიზნით, რომ ბავშვებს განუვითარდეთ საშემსრულებლო უნარები, აჩვენონ თავიანთი სწავლის შედეგები და ინდონეზიაში გავრცელდეს სამუსიკო განათლება.

მოგვყავს Yamaha-ს კვლევების მონაცემები და ამონარიდები ინტერვიუებიდან:

მუსიკის ინტეგრაცია კლასში და ინსტრუმენტზე დაკვრა ხელსაყრელ გავლენას ახდენს დაწყებითი საფეხურის ბავშვების სწავლის შედეგებზე, განსაკუთრებით კოგნიტურ შესაძლებლობებზე, გარკვეულწილად, თვითშეფასებასა და სოციალურ ქცევაზე.

ეგვიპტე

ჩვენ შევიმუშავებთ და გამოვცდით მოსწავლეთა არაკოგნიტური უნარების გაზომვის მეთოდებს, როგორებიცაა, თანამშრომლობა, თვითშეფასება, დისციპლინა და მოტივაცია.

Photograph provided by Egyptian Japanese Schools

ინდოეთი

საჯარო განათლების ფარგლებში ბავშვებს არ ეძლევათ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრის სწავლის, შემსრულებლობის გამოცდილების მიღების შესაძლებლობა. ამასთან ერთად, განვიცდით მუსიკის მასწავლებლების ნაკლებობას.

ჩვენ ვაცნობთ საზოგადოებას ინსტრუმენტული მუსიკის განათლების მნიშვნელობას იმ იმედით, რომ ყველა ბავშვს ექნება მინიმუმ ერთი შესაძლებლობა, ისწავლოს მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა ცხოვრებაში.

- **„იმასთან ერთად, რომ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრისას ბავშვებს უვითარდებათ რიტმის გრძნობა, მათ ამთლიანებთ ერთმანეთის საკრავების (ბლოკფლეიტის) ხმოვანების მოსმენა ანსამბლში. შედეგად, მათი ერთიანობა მტკიცდება და კლასი ერთ გუნდად ყალიბდება.“**

მუსიკის მასწავლებელი, *ვიეტნამი*

- **...გარდა იმისა, რომ ჩემი შვილი მუსიკალურად განვითარდა, მისი მოტორული და საკოორდინაციო უნარებიც გაუმჯობესდა. ჩემს გოგონას უყვარს და მოსწონს ბლოკფლეიტა. თანაც ეს ინსტრუმენტი პატარა და მოსახერხებელია და მას შეუძლია მისი ტარება, ბებიასთან მიტანა და მისთვის დაკვრა.“**

მოსწავლის მშობელი, *ეგვიპტე*

- **„ბლოკფლეიტის ხმა მომხიბვლელი და სახალისოა, ჩიტების ხმოვანებას ჰგავს. მე მიხარია, მსიამოვნებს მუსიკის გაკვეთილები, სადაც ჩვენ ვუკრავთ ბლოკფლეიტაზე და ვუსმენთ მუსიკას.“**

მესამეკლასელი მოსწავლე, *ეგვიპტე*

> პროექტი – ინსტრუმენტული განათლება ყველას – ინკლუზიური განათლების პრინციპებს ეყრდნობა. ასევე, მოსწავლეები არ დაიყოფიან და არ მიეკუთვნებიან მეტად და ნაკლებად ნიჭიერ ან წარმატებულ ჯგუფებს.

პროექტი – ინსტრუმენტული განათლება ყველას - ინკლუზიური განათლების პრინციპებს ეყრდნობა. ასევე, მოსწავლეები არ დაიყოფიან და არ მიეკუთვნებიან მეტად და ნაკლებად ნიჭიერ ან წარმატებულ ჯგუფებს.

პროექტის მესვეურები ხაზს უსვამენ მის შესაბამისობას მდგრადი განვითარების მიზნებთან. კერძოდ, პროექტთან უშუალო მიმართებით მათ მიერ გამოყოფილია სამი მიზანი:

4. განათლება ყველას;

16. მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები;

17. თანამშრომლობა საერთო მიზნებისათვის.

ამ პროექტის ფარგლებში ინსტიტუციები და ქვეყნები ერთიანდება ერთი მიზნის მისაღწევად, რაც განურჩევლად ყველა ბავშვისათვის ხარისხიანი განათლების მიცემას გულისხმობს და ამ პროცესს სისტემატურად უერთდება ახალი ქვეყნები.

როგორც ვხედავთ, Yamaha-ს შემოაქვს, ამკვიდრებს და უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ინსტრუმენტულ მუსიკალურ განათლებას ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში. ამ ნაბიჯით ის სცილდება სპეციფიკური დარგობრივი განათლების საზღვრებს და სამუსიკო განათლებას საყოველთაო მასშტაბს სძენს. პროექტში ყურადღება მახვილდება სწორედ საშემსრულებლო გამოცდილებაზე, რაც არსებული მრავალრიცხოვანი კვლევების საფუძველზე კონკრეტული ადამიანების ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის, მათი სოციალიზაციის და, შესაბამისად, კაცობრიობის სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბებისკენ მიმავალი გზაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Yamaha Music Education System https://europe.yamaha.com/en/education/yms/yamaha_music_education_system/index.html
2. Yamaha Music Education System https://asia-latinamerica-mea.yamaha.com/en/education/yamaha_music_school/ymes/index.html
3. Composition – 7 Notes Yamaha Music School (7-notes.com)
4. https://7-notes.com/course/composition/
5. What-is-yamaha-music-education-system https://www.jensensyamahamusic.com/faq/what-is-yamaha-music-education-system-ymes/
6. https://www.yamaha-mf.or.jp/english/about/outline.html
7. https://uk.yamaha.com/en/education/yms/yamaha_music_education_system/index.html
8. https://etd.auburn.edu/handle/10415/7657
9. https://www.yamaha.com/en/
10. https://www.yamaha.com/en/about/initiatives/school_project/vision/
11. https://www.yamaha.com/en/about/initiatives/school_project/collaborations/

შენიშვნები:

1. კორპორაციის დღევანდელი სამოქმედო მიმართულებებია
   - მუსიკალური ინსტრუმენტები – ფორტეპიანო, სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები, რომლებიც მსოფლიო წარმოების მეოთხედს წარმოადგენს და მათი 32% დიგიტალურია
   - აუდიო ეკიპირება
   - ელექტრონიკა (ვიდეოკონტროლი, ელექტრონული კომპასები)
   - სხვა (მანქანის ინტერიერის დეტალები, კურორტები და სხვა)
2. როგორც პროგრამის მესვეურები აცხადებენ, საგამოცდო სისტემა უზრუნველყოფს მასწავლებლებისა და მოსწავლეების პროგრესსა და მათი თვითშეფასების ამაღლებას, შეფასების სისტემა ცხრაქულიანია - 9-დან 1-მდე.
3. "Junior Advanced Course"
   - ხელს უწყობს ბავშვის ინდივიდუალური საკომპოზიციო და საშემსრულებლო შემოქმედებითი უნარების განვითარებას ჯგუფური მეცადინეობისას.
   - ჯგუფური მეცადინეობა 60-წუთიანია, ხოლო ფორტეპიანოს ინდივიდუალური გაკვეთილები 40 წუთს გრძელდება.
   - კურსი 2-წლიანია.
   - იღებენ 8-10 წლის მოსწავლეებს the Junior Extension Course-ის (უმცროსი ასაკის გაღრმავებული კურსი) შემდეგ.
   - ჯგუფში ბავშვების რაოდენობაა 6-10.
4. გავრცელებული თვალსაზრისით, მუსიკის სწავლება ფორტეპიანოზე შეხებით უნდა დაიწყოს, რადგან ფორტეპიანოს კლავიატურა, რომელიც ბგერათსიმაღლის მიხედვითაა სისტემატიზებული, წესრიგს, კოორდინაციას და მუსიკალურ სმენას უვითარებს და სიმწყობრეს აჩვევს ბავშვს.
5. რუდოლფ შტაინერის სისტემის სკოლებში ბლოკფლეიტაზე დაკვრა აუცილებელ საგნადაა მიჩნეული მეორე კლასიდან (პირველი კლასის მეორე სემესტრიდან ჯერ ხის პენტატონიკური ხუთბგერიანი ფლეიტა შემოდის). ბლიკფლეიტა საშემსრულდებლო თვალსაზრისით სხვა ჩასაბერ საკრავებთან შედარებით მარტივია. ამავე დროს, ჩასაბერი საკრავის სპეციფიკით ბგერის მიღების წესიდან გამომდინარე, თამაშის, ექსპერიმენტის, აღმოჩენის ელფერი აქვს. მისი პრაქტიკა აჩვევს მოსწავლეს ინდივიდუალურ გამოსვლებსა და შემოქმედებით თანამშრომლობას, ავითარებს მუსიკალურ სმენას, ნატიფ მოტორიკას, უმაღლესი სააზროვნო ოპერაციების, სასუნთქი სისტემისა და, ზოგადად, ჯანმრთელობისათვისაა სასარგებლო.
6. ორგანიზაცია, რომელსაც ქართულ საგანმანათლებლო სივრცესთან თანამშრომლობს, აქვს "JICA-SDGs Partner Certificate" მდგრადი განვითარების მიზნებთან პარტნიორობის სერტიფიკატი.
7. 2018 წელს JETRO-სა და ჰანოის განათლების ეროვნულ უნივერსიტეტთან მემორანდუმის საფუძველზე წარმოდგენილი იყო ინსტრუმენტული სამუსიკო განათლების პროექტი ვიეტნამ ში.

თანამედროვე ქართული არქეოლოგიის თავისებურებები

დიმიტრი ახვლედიანი

ისტორიის მეცნერებათა დოქტორი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი

დევან ახვლედიანი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ისტორიის ექსპერტ-კონსულტანტი

კაცობრიობის ისტორიის შესწავლისას, ისტორიკოსები მხოლოდ არქეოლოგიურ და ეთნოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით იკვლევენ დამწერლობის გაჩენამდე არსებულ ცივილიზაციებს. თანამედროვე სკოლაში ისტორიის საგნის სწავლებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული არტეფაქტებისა და ნივთიერი წყაროების შესწავლას, რასაც ჩვენს სახელმძღვანელოებში დიდი ადგილი ეთმობა. ამიტომ, საჭიროდ ჩავთვალეთ, მკითხველისთვის მიგვეწოდებინა ჩვენი მოსაზრებები თანამედროვე ქართული არქეოლოგიის განვითარების შესახებ.

სტატიის მიზანია თანამედროვე ქართული არქეოლოგიის თავისებურებებზე მსჯელობა და მისი ანალიზი. სანამ უშუალოდ საკითხის შესწავლას შევუდგებოდეთ, საჭიროა პასუხი გავცეთ შეკითხვას: რა იგულისხმება თანამედროვეობაში?

თანამედროვეობის საწყისად ინგლისურენოვან ლიტერატურაში მიჩნეულია 1945 წელი. მათი აზრით, ეს პერიოდი ხასიათდება მუდმივი ცვლილებებით საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და კულტურულ სფეროებში.

> **მეცნიერების, განსაკუთრებით ჰუმანიტარული მეცნიერების, განვითარება, ძირითადად ორი ფაქტორით არის განპირობებული: პირველი – საზოგადოებრივი ინტერესი და მისი დაკვეთა, მეორე – თვით ამ მეცნიერების წინაშე მდგარი ამოცანები და განვითარების ხასიათი.**

რუსულენოვან ლიტერატურაში თანამედროვეობა იწყება XX ს-ის 90-იანი წლებიდან (საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რაც, ჩვენი აზრით, ემთხვევა საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიას და ამიტომაც ქართული თანამედროვე არქეოლოგიის ანალიზს ჩვენც სწორედ ამ პერიოდიდან დავიწყებთ. თუმცა იმისთვის, რომ უფრო სიღრმისეულად წარმოვაჩინოთ ეს ფენომენი, საჭიროა, ერთი მხრივ, ქართული არქეოლოგია განვიხილოთ მისი წარმოქმნიდან დღემდე, ხოლო, მეორეს მხრივ, მეცნიერების ეს დარგი გავაანალიზოთ მსოფლიოში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პროცესების ფონზე.

როგორც ცნობილია მეცნიერების, განსაკუთრებით ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარება, ძირითადად ორი ფაქტორით არის განპირობებული: პირველი – საზოგადოებრივი ინტერესი და მისი დაკვეთა, მეორე – თვით ამ მეცნიერების წინაშე მდგარი ამოცანები და განვითარების ხასიათი. ამჯერად ჩვენი ინტერესის სფეროს საქართველოს მეცნიერების, კერძოდ, არქეოლოგიის განვითარების ისტორია წარმოადგენს. სიძველეთა ნაშთების მიმართ ინტერესი საქართველოში ანტიკური ხანიდან ფიქსირდება. XIX ს-მდე იგი შემოიფარგლებოდა რარიტეტების კოლექციონირებით. ეს რარიტეტები ინახებოდა სამეფო, დიდგვაროვანთა და ეკლესიების საგანძურებში [ჭილაშვილი, 1984:26-37]. რაც შეეხება მეცნიერულ კვლევას, ჩვენი აზრით, საქართველოს არქეოლოგიის განვითარების ისტორია ოთხ ფაზად შეიძლება დაიყოს [დ.ახვლედიანი, 2014:135-140]. პირველი ფაზის, ანუ საქართველოს არქეოლოგიის დასაწყისად სხვადასხვა მკვლევარი განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს: რუდოლფ ვირხოვის აზრით, პირველი არქეოლოგი ფრიდრიხ ბაიერნი იყო [Virchow, 1885:V], ხოლო დიმიტრი ბაქრაძე თვლის, რომ საქართველოს არქეოლოგიის ფუძემდებელი მარი ბროსე გახლდათ [ბაქრაძე, 1987:XII]. „საქართველოს არქეოლოგიის“ ავტორთა კრებულის მოსაზრებით, ეს პატივი ვახუშტი ბატონიშვილს ეკუთვნის [აფაქიძე და სხვა, 1959:5], ხოლო გელა გამყრელიძეს პირველ არქეოლოგად დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი მიაჩნია [გამყრელიძე, 1991:12-45; 2009:7]. ჩვენ არ შევუდგებით ამ მოსაზრებების დაწვრილებით განხილვას. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ქართული არქეოლოგიის პირველი ფაზის დასასრულად 1919 წლის 18 მაისი გვესახება, როდესაც სწორედ ამ დღეს ექვთიმე თაყაიშვილმა თბილისის უნივერსიტეტში წარადგინა „პროგრამა სტუდენტების გამოკითხვისა საქართველოს სიძველენის ცოდნაში [ჩარკვიანი, 2006:63-71].

XIX ს-სა და XX ს-ის დასაწყისში კავკასიასა და, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ძეგლები მეცნიერთა ცხოველი ინტერესის სფეროში ექცევა, რაზეც მეტყველებს აქ სხვადასხვა დროს დაარსებული მრავალი სამეცნიერო დაწესებულება: „მოსკოვის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება“, „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“, „კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება“, „მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილება. ამავე დროს, 1881 წელს თბილისში ჩატარდა V არქეოლოგიური ყრილობა [გამყრელიძე, 1991:12-45; ყაზახიშვილი, 2007:237-249]. ამ პერიოდში საქართველოში სხვადასხვა წარმომავლობის მკვლევრები მოღვაწეობდნენ, რომლებიც მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლით იყვნენ დაინტერესებულნი. ესენი იყვნენ: ერნსტ შანტრი, ჟაკ დე მორგანი, მარი ბროსე, რუდოლფ ვირხოვი, ფრიდრიხ ბაიერნი, ალექსი უვაროვი, პრასკოვია უვაროვა, სტანისლავ კრუკოვსკი. ისინი აფიქსირებდნენ და იკვლევდნენ, როგორც პრეისტორიული, ასევე ისტორიული ხანის ძეგლებს. რაც შეეხებათ ქართველ მკვლევარებს, როგორებიც იყვნენ დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, პლატონ იოსელიანი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვა,

ვფიქრობთ, მათი კვლევა-ძიების მიმართულება ყველაზე უფრო ნათლად გამოხატა ექვთიმე თაყაიშვილმა: „იმხანად უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი: რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოება ნებას მაძლევდა, შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის; ყოველი ძალ-ღონე მეხმარა ძეგლთა დაღუპვისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად; რაც შეიძლება მეტი გამომემზეურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევარებისათვის. ეს მიმაჩნდა კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ მაშინ – იმ რწმენით, რომ, როდესაც ასეთი მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, გამოჩნდებოდნენ ჩვენში მეცნიერები, ჯეროვნად შეგვიდგენდნენ საქართველოს ისტორიას, გაგვიშუქებდნენ იმ მართლაც და, გადაუჭარბებლივ, დიად კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში“ [თაყაიშვილი, 1968:310]. ამ პერიოდში, გათხრების შედეგად თუ სხვა გზებით მოპოვებული მასალა თავს იყრიდა მუზეუმებში, კერძოდ, – „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ მუზეუმში, „კავკასიის მუზეუმში“, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მუზეუმში, „საეკლესიო მუზეუმში“ და სხვა. მოპოვებული მასალების პუბლიცირებაც მაღალ დონეზე იდგა. ყოველივე ამან გამოიწვია საჭიროება, რათა საქართველოში მომზადებულიყო პროფესიონალური არქეოლოგიური კადრები. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როდესაც გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექვთიმე თაყაიშვილმა შეადგინა საქართველოში პირველი სასწავლო პროგრამა არქეოლოგიაში [ჩარკვიანი, 2006:63-71]. საქართველოში არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების პერიოდში, მსოფლიოში ძირითადად ორი არქეოლოგიური სკოლა იყო გავრცელებული: პირველი - ევოლუციონისტური დასავლეთ ევროპასა (ინგლისი, საფრანგეთი) და აშშ-ში, სადაც ტექნოლოგიური და სოციალური პროგრესი მაღალ დონეს აღწევდა. აქ არქეოლოგიის მთავარი პრობლემა ანტროპოგენეზი იყო. მეორე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპა – გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, რუსეთი, თურქეთი, რომელთა საზოგადოებები კონსერვატიზმით ხასიათდებოდნენ და ევოლუციონიტურ შეხედულებებს მტრულად უყურებდნენ. აქ ეთნიკური პრობლემები მეტად მწვავედ იდგა და არქეოლოგთა კვლევის მთავარი მიმართულება ეთნოგენეზი იყო [Клейн, 2005, I : 526]. საქართველოც ამ მიმართულების წრეში მოექცა [ბაქრაძე, 1889:I-VII, 1-20].

ქართული არქეოლოგიის განვითარების მეორე ფაზა, ჩვენი აზრით, იწყება XX ს-ის 20-იანი წლებიდან და გრძელდება ამავე საუკუნის 50-იანი წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისამდე. ამ პერიოდში საქართველოში უცხოელ მეცნიერებს აეკრძალათ მუშაობა და კვლევა-ძიების მთელი სიმძიმე ადგილობრივ კადრებზე გადავიდა. ძირითადად სამუშაოებს აწარმოებდნენ „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, „საქართველის სახელმწიფო მუზეუმი“, შემდგომში „ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი“ (ენიმკი), რომელსაც ცალკე გამოეყო „ისტორიის ინსტიტუტი“. ამ დაწესებულებებში მუშაობდნენ ისეთი მკვლევარები, როგორებიც იყვნენ: გიორგი ნიორაძე, სერგი მაკალათია, გიორგი გოზალიშვილი, სოლომონ იორდანიშვილი, ბორის კუფტინი, ოთარ ჯაფარიძე, ნინო ხოშტარია, ნინო ბერძენიშვილი და სხვა. გაითხარა და შესწავლილ იქნა მრავალი ძეგლი, რომლებიც კაცობრიობის ისტორიის ყველა პერიოდს მოიცავდნენ. გამართლდა ექვთიმე თაყაიშვილის მოლოდინი – 1959 წელს გამოქვეყნდა „საქართველოს არქეოლოგია“, ქვედა პალეოლითიდან შუა საუკუნეების ჩათვლით. ამ ნაშრომის ავტორები იყვნენ ანდრია აფაქიძე, ნინო ბერძენიშვილი, გერმანე გობეჯიშვილი, ალექსანდრე

კალანდაძე, გიორგი ლომთათიძე, ოთარ ჯაფარიძე, ნინო ხოშტარია [აფაქიძე და სხვა, 1959]. გარდა ამისა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა არქეოლოგიური ექსპოზიცია, რომელიც საქართველოს არქეოლოგიის ყველა პერიოდს ასახავდა.

ქართული არქეოლოგიის მესამე ფაზა იწყება XX ს-ის 60-იანი წლებიდან და გრძელდება საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის ხელმეორედ მოპოვებამდე – 90-იან წლებამდე. ეს ფაზა გამოირჩევა ორი ძირითადი მახასიათებლით, პირველი – საველე არქეოლოგიური სამუშაოები (ძეგლების გათხრა და მათი კონსერვაცია-რესტავრაცია) დიდ მასშტაბებს იძენს; მეორე – კვლევის მიმართულებად იქცა საქართველოს არქეოლოგიის წარმოჩენა მსოფლიო კულტურულ-ისტორიული განვითარების კონტექსტში.

ფართოდ გაშლილ ახალმშენებლობებთან დაკავშირებით, 1977 წელს ოთარ ლორთქიფანიძეს ძალისხმევით ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან შეიქმნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, რომელშიც სხვადასხვა პერიოდის ძეგლების შემსწავლელ განყოფილებებთან ერთად ფუნქციონირება დაიწყო ინტერდისციპლინარული კვლევისა და ახალმშენებლობებზე არქეოლოგიური გათხრების განყოფილებებმა. ამ პერიოდში ხდებოდა გათხრების შედეგად მოპოვებული დიდი რაოდენობის მასალის პუბლიცირება როგორც ყოველწლიური მოკლე ანგარიშების სახით – „Полевые археологические исследования (ПАИ)“, ასევე შესწავლილი ცალკეული ძეგლების სრული წარდგენა მრავალტომეულების სახით, როგორებიცაა „ვანი“, „მცხეთა“, „ბიჭვინთა“, „ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები“, „კახეთის ექსპედიციის არქეოლოგიური შრომები“, „ჟინვალი“ და სხვა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის რაოდენობა უაღრესად გაიზარდა. სახელმწიფო მუზეუმები ვეღარ უზრუნველყოფდნენ მათ შენახვასა და ექსპონირებას. ამიტომ მათი განთავსება ძირითადად არქეოლოგიური ექსპედიციების ბაზებზე ხდებოდა. ამის გამო უახლესი, ბრწყინვალე აღმოჩენები ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი არ იყო. ამრიგად, გამოსავალი გახდა ადგილებზე მუზეუმ ნაკრძალების შექმნა, მაგ., ვანის მუზეუმ-ნაკრძალი (1985), რომელიც სადღეისოდ მისი შემქმნელის - ოთარ ლორთქიფანიძის სახელობისაა.

რაც შეეხება საქართველოს არქეოლოგიის შესწავლას მსოფლიო კულტურის განვითარების კონტექსტში, ამ მიმართულების პირველი მცდელობა იყო ოთარ ლორთქიფანიძეს სადოქტორო დისერტაცია „ანტიკური სამყარო და საქართველო“, რომელიც შემდეგ ორ მონოგრაფიად – „ანტიკური სამყარო და კოლხეთი“ (1966) და „ანტიკური სამყარო და იბერია“ (1968) გამოიცა. ამ პრობლემის წარმატებით წარმოჩენისათვის არჩეულ იქნა სამუშაოების ისეთი ფორმა, როგორიცაა სამეცნიერო სიმპოზიუმები, ჯერ საკავშირო, ხოლო შემდეგ საერთაშორისო. ეს ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, დიდი რაოდენობით წყაროებზე ინფორმაციის მოპოვებას, ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა შეხედულების შეჯერებას. ასეთი სიმპოზიუმების ჩატარება დაიგეგმა ჯერ წყალტუბოში, შემდეგ ვანში, რომელიც შავიზღვისპირეთის ისტორიისა და არქეოლოგიის პრობლემების შესწავლისადმი იყო მიძღვნილი, ხოლო ძველი კოლხეთი წარმოჩნდა შავიზღვისპირეთის ქვეყნების კონტექსტში. სხვა ამდაგვარი სიმპოზიუმი „კავკასია ევრაზიის ადრელითონების ხანის კულტურათა სისტემაში,“ მიძღვნილი პალეომეტალურგიული კვლევებისადმი, მოეწყო სიღნაღში.

ქართული არქეოლოგიის მეორე და მესამე ფაზაში ოფიციალურ იდეოლოგიად მარქსიზმ-ლენინიზმი ითვლებოდა.

> 1977 წელს ოთარ ლორთქიფანიძეს ძალისხმევით ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან შეიქმნა არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, რომელშიც სხვადასხვა პერიოდის ძეგლების შემსწავლელ განყოფილებებთან ერთად ფუნქციონირება დაიწყო ინტერდისციპლინარული კვლევისა და ახალმშენებლობებზე არქეოლოგიური გათხრების განყოფილებებმა.

საქართველოს არქეოლოგიის მეოთხე პერიოდი იწყება ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ეს პერიოდი ხასიათდება იმით, რომ არქეოლოგიას, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგებს, ახალ, განსაკუთრებულ პირობებში მოუწია მუშაობა. ამ პირობების განმსაზღვრელი იყო ის გარემოება, რომ, ჯერ ერთი, გაიხსნა ქვეყნის საზღვრები, მეორე, გაჩნდა კერძო საკუთრება მიწაზე. როგორც ერთმა, ასევე მეორე გარემოებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია არქეოლოგიაზე. კერძოდ, საზღვრების გახსნამ გამოიწვია უცხოელი მკვლევარებისა და ფართო საზოგადოების ინტერესის აღდგენა ქართულ სიძველეთა ნაშთების მიმართ, რაც გამოიხატა ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციების ორგანიზებაში და ასევე საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების ექსპონირებით საზღვარგარეთის მუზეუმებში. საქართველოში ნაწილობრივ გავრცელდა ის ტენდენციები, რომლებიც დასავლეთის წამყვანი ქვეყნების არქეოლოგიისათვის არის დამახასიათებელი. ყველა ამ გარემოებას ჩვენს სტატიაში ვერ ავსახავთ. წარმოვაჩენთ ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს:

პირველი – ესაა ქართული არქეოლოგიის ტრადიციული მიმართულების გაგრძელება და განვითარება; მეორე – ის ნოვაციები, რომლებიც ახალ ვითარებას მოჰყვა.

პირველი მიმართულების საფუძველი გახდა 1991 წელს ოთარ ლორთქიფანიძის ძალისხმევით არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დამოუკიდებელ დაწესებულებად ჩამოყალიბება. რომელმაც, ქვეყანაში არსებული არასახარბიელო სიტუაციის მიუხედავად, არამარტო შეინარჩუნა შრომისუნარიანობა, არამედ გააძლიერა კიდევაც. მუშაობა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით დაიგეგმა:

პირველი – აქამდე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შემაჯამებელი აღწერა შემდეგ ნაშრომებშია წარმოდგენილი: ოთ. ლორთქიფანიძის – „ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან“ (2002), ოთ. ჯაფარიძის „საქართველოს ისტორიის სათავეებთან„ (2003), დ. მინდორაშვილის „საქართველოს არქეოლოგია“ ტ. I-III, (2014-2015). რვა ტომად დაიგეგმა „საქართველოს არქეოლოგიის“ გამოცემა, აქედან ორი დაიბეჭდა. ასევე, მიმდინაროებს მუშაობა საქართველოს არქეოლოგიური რუკის შექმნაზე და არქეოლოგიური ლექსიკონების შემუშავება.

მეორე – მუშაობის გაგრძელება საქართველოს არქეოლოგიის წარმოსაჩენად მსოფლიო ისტორიული განვითარების კონტექსტში. ამ მიმართულებით გაგრძელდა შავიზღვისპირეთის (მათ შორის კოლხეთის) ქვეყნების ისტორიის პრობლემებისადმი მიძღვნილი ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმები, მათ დაემატა „საქართველო აქემენიდური და პოსტაქემენიდური ეპოქის შემსწავლელი

სემინარი „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“, „საქართველო და აბრეშუმის გზა“ და სხვა.

რაც შეეხება უცხოეთის გავლენას, ის მრავალპლანიანია. იგი შეეხება როგორც სამეცნიერო მხარეს, ასევე არქეოლოგიის სწავლებას, გარდა ამისა, ამ მეცნიერების ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობას, რომელიც სამუზეუმო საქმიანობაში გამოიხატა.

სამეცნიერო თვალსაზრისით, სამუშაოების ნოვაცია გამოწვეულია რამდენიმე მიზეზით: პირველი – ეს არის უცხოეთის წამყვან არქეოლოგიურ დაწესებულებებთან კავშირის დამყარება, ერთობლივი საკვლევი პროექტების შემუშავება და ერთობლივი ექსპედიციების შექმნა, რამაც გააუმჯობესა კვლევა-ძიების მეთოდები. განსაკუთრებით ეს შეეხება არქეოლოგიაში მულტიდიციპლინარული კვლევების ფართოდ დანერგვას და საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ სიძველეთა ნაშთების უცხოურ ლაბორატორიებში შესწავლას. ასეთი ერთობლივი კვლევები ტარდება მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი პრობლემების გადასაწყვეტად, როგორებიცაა ანტროპოგენეზის პრობლემა, საკვები პროდუქტების წარმოებაზე გადასვლის პრობლემა, ადრეული ლითონების წარმოების პრობლემა და სხვა. ამავე დროს, წარიმართა საქართველოში არქეოლოგიური დაწესებულებების რეორგანიზაცია ახალი რეალობების გათვალისწინებით (განსაკუთრებით საქართველოს ეროვნული მუზეუმის შექმნის შემდეგ). კერძოდ, თუ მანამდე არქეოლოგიურ სამუშაოებს მხოლოდ სახელმწიფო აფინანსებდა, ამჟამად დაფინანსების მრავალი წყარო გაჩნდა – სახელმწიფოსთან ერთად კერძო სპონსორები (მათ შორის, ახალმშენებლობებზე), სამეცნიერო ფონდები და სხვა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისა და მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც ოფიციალური იდეოლოგიის, გაუქმების შემდეგ საქართველოში უცხოეთიდან არქეოლოგიის არცერთი სამეცნიერო სკოლის თვალთახედვა არ გავრცელებულა, იგულისხმება პროცესუალური და პოსტპროცესუალური არქეოლოგიური სკოლები. მიუხედავად ამისა, შემუშავებულ იქნა ახალი საკანონმდებლო აქტები. ამის გამოძახილია ახალი კანონის, კერძოდ, „საქართველოს კანონის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ შემოღება.

ცვლილებები აღინიშნა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არქეოლოგიის სწავლებასთან დაკავშირებით – თუ საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში არსებობდა მხოლოდ სავალდებულო საგნები, ამჯერად საქართველოს ბოლონიის პროცესთან მიერთების შემდეგ სტუდენტებს (სავალდებულო საგნების გავლის შემდეგ) უფლება აქვთ აირჩიონ მათთვის სასურველი საგნები. ამავე დროს, მოქმედებენ გაცვლითი პროგრამები, რომლებიც მათ საშუალებას აძლევთ სწავლა გააგრძელონ უცხოეთის სასწავლო დაწესებულებებში.

რაც შეეხება მუზეუმს, იგი არქეოლოგიისა და ფართო საზოგადოების შეხების სივრცეს წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ „დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოში სულ უფრო აქტუალურია დებატები იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის კულტურული მემკვიდრეობა: ცალკეულ ადამიანებს, ამა თუ იმ კულტურას, ერს თუ მთელს კაცობრიობას? როგორ შეიძლება ამ პროცესების სხვადასხვა მონაწილეებმა გამოიყენონ ექსპონატები საკუთარი იდენტობის წარმოსადგენად. ეს კითხვები განსაკუთრებულად აქტუალურია საქართველოსნაირი მცირე ერებისათვის ... (დ.ა.), რომელსაც უწევს თავის დამკვიდრება საერთაშორისო თანამეგობრობაში“ [დათუნაშვილი, 2020 :70]. ქართული ექსპოზიციები ეწყობა როგორც საქართველოში,

ისევე საზღვარგარეთ, რასაც დამოუკიდებლობის მოპოვებამ შეუწყო ხელი. იგი იქცა ქვეყნის „სავიზიტო ბარათად“.

განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობს ძველი კოლხეთის კოლექცია, რომელიც არგონავტებისა და მედეას მითს უკავშირდება. ამ ნარატივით გამოფენები ჩატარდა ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების „ნოეს მუზეუმში“, სმითსონის ინსტიტუტის არტურ მ. საკლერის გალერეაში, კემბრიჯის ფიცუილიამის მუზეუმში, ათენის, სტოკჰოლმის, სევილიის, ლოს-ანჯელესის, რომის და ფრანკფურტის მუზეუმებში.

მეტად მნიშვნელოვანი წვლილი ეროვნულ მუზეუმს მიუძღვის ქართული ღვინის კულტურის პოპულარიზაციაში. გამოფენები მოეწყო ლონდონში, ჰიუსტონში, ფლორენციაში, ბერლინში. გარდა ამისა, ბორდოს „ღვინის ქალაქში“.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება დმანისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ადამიანის წინაპართა ნაშთების გამოვლენას, რომელიც ანტროპოგენეზის პრობლემის გადასაწყვეტად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. მისი პოპულარიზაცია, როგორც „პირველი ევროპელების,“ მნიშვნელოვან იდეოლოგიურ საფუძველს ქმნის საქართველოს ევროპული მომავლისათვის.

ბიბლიოგრაფია

1. აფაქიძე ან., ბერძენიშვილი ნ., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ., ჯაფარიძე ოთ., ხოშტარია ნ., საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959
2. ახვლედიანი დ., ოთარ ლორთქიფანიძე და საქართველოს არქეოლოგია, იბერია-კოლხეთი, 10, თბილისი, 2014, გვ. 135-140
3. ბაქრაძე დ., ისტორია საქართველოსი, ტფილისი, 1889.
4. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობანი გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987
5. გამყრელიძე გ., საქართველოს არქეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია, საქართველოს არქეოლოგია (რვა ტომად), ტ. I, თბილისი, 1991.
6. გამყრელიძე გ., ქართული არქეოლოგიის კვალდაკვალ, თბილისი, 2009
7. დათუნაშვილი ა., საქართველოს ეროვნული მუზეუმის საერთაშორისო საგამოფენო საქმიანობა – (თითქმის) ყველაფერი, რაც უნდა იცოდეთ, მუზეუმი, №6, 2020, თბილისი, გვ.70-79.
8. თაყაიშვილი ექ., რჩეული ნაშრომები, ტ.I, თბილისი, 1968
9. მუზეუმის მიერ მოწყობილი უმნიშვნელოვანესი გამოფენები (1855-2002 წწ.), საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, №44, თბილისი, 2002, გვ. 12-13
10. ყაზახიშვილი ლ., რუსეთის სამეცნიერო წრეებთან ურთიერთობის შესწავლისათვის. კრ. საქართველოს არქეოლოგიის ისტორიის საკითხები, თბილისი, 2007, გვ. 237-249
11. ჩარკვიანი მ., ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობა თბილისის უნუვერსიტეტში, არქეოლოგიური კრებული V, თბილისი, 2006, გვ. 63-71
12. ჭილაშვილი ლ., მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საუძვლები, თბილისი, 1984
13. Virchow Rud., Fridrich Bayerns Untersuchungen über die altesten Greber- und Schatzvunde in Kaukasien, herausgegeben und mit Vorwort versehen von Rud. Virchow, Zeitschrift für Etnologie, Siebzenter Jahrgang, Supplement, Berlin, 1885.
14. Клейн Л.С., История археологической мысли, т. I, II, СанктПетербург, 2005.

www.tpdc.ge